ტფილისი

№ 139
ივნისის 28, შაბათი 1903 წ.
1877

ივერია

№ 139
ივნისის 28, შაბათი 1903 წ.
1903

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ვისაც ხვედრი ფული არ შემოუტანია პირველ ივლისიდან «ივერია» აღარ გაეგზავნება.

პირველ ივლისიდან წლის დამლევამდე

გაზ. „ივერია“

ჰღირს 6 მანეთად

გაზეთის „ივერიის“ ფასი თვეობით 12 თვით—10 მან., 11 თვით—9 მ. 50 კ., 10 თვით—8 მ. 75 კ., 9 თვით—8 მ., 8 თვით—7 მ.25 კ., 7 თვით—6 მ. 75 კ., 6 თვით—6 მ., 5 თვით—5 მ. 50 კ. 4 თვით—4 მ. 75 კ., 3 თვით—3 მან. 50 კ., 2 თვით—2 მ. 75 კაპ., 1 თვით—1 მან. 50 კაპ.

პედაგოგიური საბჭო გორის ანასტასიის პროგიმნაზიისა, ამით აცხადებს, რომ ამა წლის 1-ლს სეკდემბერს ამ პროგიმნაზიას **მოემატება მეხუთე კლასი.** მისაღები გამოცდა დანიშნულია 26 აგვისტოს. დამატებითი გამოცდა 27 ₰ 28 აგვისტოს. თხოვნები მიიღება ზედამხედველის (начальница) სახელზე. თხოვნასთან უნდა წარმოადგინონ მეტრიკული და ყვავილის აცრის მოწმობანი.

(3—ჟ—1)

საბავშვო ბაღი

„ბავშვთა მფარველ საზ.“ და „მასწ. ქალთა საზოგადოებისაგან“

კვირას, 29 ივნისს

გამართული იქმნება

სეირნობა

საღამოს 4½ საათიდან 10 საათამდის, შემდეგი პროგრამით:

1) საკონცერტო განყოფილებაში: სამუსიკო ორკესტრი ა. თ. ვინჩენკოს ხელმძღვანელობით. მომღერალთა გუნდი ნ. ს. ილხოვსკის ხელმძღვანელობით. დივერტისმენტი: მონაწილეობას მიიღებენ ბბ. ყიფიანი და ზაგირსკი.

2) სათამაშო-გასართობი: ბუნდოვანი სურათები, ცეკვა, ნიშანში სროლა თოფით და შვილდით, ბეგლი და სხვა საბავშვო სათამაშოები ა. ვ. იაგოროვის ხელმძღვანელობით. გამართული იქმნება სეირნობა მუზიკით და ბენგალის ცეცხლებით ბუფეტი.

დაუკრავს სამხედრო მუსიკა. შესასვლელი ფასი ბავშვთათვის 20 კაპ. დიდებისათვის 30.

(3—უ—2)

ქუთაისის სათავად-აზნაურო სასწავლებელი აცხადებს, რომ მიმდინარე წლის ენკენისთვისათვის 40 თავისუფალი ადგილი არის პირველ განყოფილებაში, რომელშიაც მიიღებიან შვიდი და რვა წლის ყმაწვილები.

დანარჩენ განყოფილებებში და პროგიმნაზიულ კლასებში თავისუფალი ადგილი არ მოიპოვება.

თხოვნების მიღება გაგრძელდება ოცდახუთ მარიამობის თვემდე. თხოვნასთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქმნეს წლოვანების, აზნაურობის და ყვავილის აცრის მოწმობანი.

ყმაწვილების მიღება დანიშნულია 27 მარიამობისთვეს.

ხელ-მეორე გამოცდა, რომელიც მაისში დაენიშნა მოსწავლეებს, მოხდება 25 და 26 მარიამობისთვეს.

სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს.

(3—ნ—2)

ახალშენიშვილი

ელისაბედის ქუჩა, 38.

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 ს. და 11—2-დის, ხოლო საღამ. 5—7-დის. კვირა-უქმეღღეებში 9—2-მდის და საღამ. 5—7-მდის.

(წლ.)

კერძო სამკურნალო

ექიმის მუსხელაშვილისა

(გედევანიშვილისეული)

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21, ავჭალის ქუჩის დასაწყისში.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

მ. ი. ჟიჟინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.

ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულ. 9—10 ს.

მ. დ. ლამბაშიძე—ორშ., ოთხშ.. და შაბათ. 10—11.

ბ. ზ. მაღალაშვილი—შინაგან. სამშაბათობით ხუთშაბათობით 10—11 ს.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათ.

დ. ა. მედზმარიშვილი—შინაგან, ნერვებითა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

მ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—კვირაობით 10—12 ს.

ზრ. მ. ხოზოლევსკი—ღოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

საღამოთი:

ა. ზ. მაღალაშვილი—შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

მუდმივი ექიმი გ. დ. ნასარიძე.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. (წ.)

46—8 ტელეფონი № 274

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ხ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქროვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

უ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფისა.

მ. ზ. ავეტისიანცი. 10—11 საათამდე კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. მძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

გ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგიან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბთაობით და შაბათობით.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეგოვი. 5—6 ს. ხირურგიულისა და კანის ავადმყოფობისა (ელექტროტერაპია)

ლ. მ. ბარტოლდი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპია), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

გ. ს. ლევი 6—7 საათამდე, ნერვებისა (ელექტროთერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბანინა** 7—7½ საათამდის. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

გ. ა. თარხანოვი. 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ხ. ა. ნავასარდიანი. 8½—8 ს.

ს. ტ. არმანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გიმართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памят. Ворон-

(წლ.

ტფილისი

◆ ხუთშაბათს, 26 ივნისს, გჰობა ჰქონდათ თავად-აზნაურთა წინამძღოლს, დეპუტატებსა და ქარვასლის გამგებელ კომისიას ქართულ დრამატიულ კომიტეტის წარმომადგენლის თანადასწრებით, კრებამ დაადგინა თავად-აზნაურთა თეატრი ისევ დრამატიულ საზოგადოებას დაეთმოს, რომელმაც წელიწადში 2,000 მანათი იჯარა უნდა იხადოს. წინად დრამატიული საზოგადოება 4,500 მანათს იხდიდა და, როგორც ვიცით, დიდს გაჭირებაში იყო. ვისაც ქართულის თეატრის წარმატება გულითა სურს და მისი ფრიად მნიშვნელობა ქართველის კარგად ესმის, ეს ამბავი სასიამოვნოდ უნდა დარჩეს.

◆ ჩვენის პოეტის ნ. ბარათაშვილის ახალი სურათი უპოვიათ. უპოვიათ აგრედვე პოეტის დ. გურამიშვილისა და სახალხო პოეტის ბესიკის სურათებიც. ეს სამივე სურათი მალე ფოტო-ტიპით დაიბეჭდება. როგორც გვითხრეს, ეხლა ნაპოვნი ნ. ბარათაშვილის სურათი წააგავს თურმე იმ სურათს, რომელიც აქამომდე მის ნამდვილ სურათად არის ცნობილი; ხოლო პოეტს ქართული კაბა-ქულაჯა აცვია; სახე სწორედ ისეთია თურმე, როგორც მის თანამედროვეს, აწ განსვენებულ კონსტანტინე მამაცაშვილს ახსოვდა და არა ერთხელ აუწერია.

◆ კ. თავართქილაძის სტამბაში ამ ჟამად იბეჭდება ნახატებიანი ჰომიროსის თქმული „აქილიანი“, ძველი ბერძნული ამბავი, გადმოღებული და გამართული პეტრე მირიანიშვილის-მიერ. სულ ოც და ოთხი კარი გამოვა; თითო კარი ეღირება ორი შაური; პირველ კარში მოთავსებული იქმნება ექვსი ნახატი, ძველ ბერძნულ ხელოვნების ყაიდაზე.

◆ წიგნის მაღაზიები ტფილისში აქამომდე სულ ერთს ადგილას იყო მოქუჩული—გოლოვინის პროსპექტზე და ალექსანდრეს ბაღის ახლო-მახლო. ბოლოს დროს-კი მაღაზიები ქალაქის სხვა ადგილებშიაც დაარსდა—ვერაზე, კუკიაში და სხვ. ზოგი მათგანი მომეტებულად ქართულ წიგნებით ვაჭრობს. ეხლა წიგნის მაღაზია ავლაბრის აღმართშიაც გაუღიათ.

◆ ერთს აფთიაქარს ტფილისში ისეთი წამალი მოუგონია, რომელიც ცეცხლისაგან იფარავს ყოველ საწვავ საგანს, თუ ეს წამალი მოასხეს, ან იმაში ამოავლეს. წამალი ამ დღეებში სცადეს ცეცხლის მქრობელ რაზმის სადგურში და უებარ სახსრად სცნეს ცეცხლის წინააღმდეგ. ეს წამალი პეტერბურგს გაიგზავნება, რომ იქაურმა ცეცხლის მქრობელ რაზმთან არსებულ ტეხნიკებმაც გამოსცადოს.

◆ ქალაქის აფთიაქი, რომელიც წინანდელს იჯარადრებს ძმ. ენიკოლოფოვებს ჩამოართვეს, ფარმაციის მაგისტრის ბ-ნ იოანისიანცისათვის გადუციათ იჯარით 1 წლითა და 10 თვით, წელიწადში 4.000 მანათად.

◆ ქალაქის გამგეობის წევრს ბ-ნ კოკჩაევს ვრცელი მოხსენება დაუწერია და გამგეობისთვის წარუდგენია იმას შესახებ, რომ ქალაქი განთავისუფლებულ იქმნას საპოლიციო ხარჯისაგან. ამ ჟამად პოლიციაზე ქალაქი 116,908 მანათსა ჰხარჯავს წელიწადში. ეს ხარჯი მეტად სამძიმოაო ქალაქისათვის. ამბობს ბ-ნი კოკჩაევი, შემოსავლის მომატება შეუძლებელია და ხარჯი-კი თან-და-თან მატულობს, რადგან ქალაქი თან-და-თან იზრდებაო; ამას გარდა პოლიცია არა მარტო ქალაქისათვის არის დაწესებული, არამედ სახელმწიფოს საერთო საჭიროებისათვისაცო ეტყობა ტფილისის ქალაქს მონდომებია, რომ პოლიციაც სოფლების ხარჯით შეუნახონ და აქაურ სოვდაგრების საკუჭნაოებს მუქთი ასას-დარაჯები მოუყენონ.

◆ ამ ორისა თუ საქის წლის წინად, ავჭალის ცხენის რკინის გზის მოიჯარადრეებმა ყორღანოვმა და ალიხგოვმა მოიწადინეს იჯარა ბელგიის უსახელო საზოგადოებისათვის მიეყიდნათ და ხელშეკრულობაც დასდეს. მაგრამ ქალაქის სამმართველომ სარჩი მოსთხოვა მოიჯარადრეს და ბელგიის საზოგადოებას, რის გამოც ხსენებული ხელ-შეკრულობა ვერ მოიყვანს სისრულეში, თუმცა ავჭალის რკინის გზას შეერთება სხვა ლიანდაგთან ქალაქის მცხოვრებთათვის დიდად სასურველია. ეხლა, როგორც შევიტყეთ, ყორღანოვს და ალიხგოვს საჩივარი მიუციათ ოლქის სასამართლოში და ბელგიის საზოგადოებას 200,000 მანათს ზარალს ედავებიან; საქმე ამ შემოდგომაზე გაირჩევა.

◆ საბჭოს კომისია, რომელიც ხორცის ნიხრს აწესებს, დარწმუნებულა, რომ გირვანქა ხორცი 8⅓ კაპ. ჯდება, და დაუდგენია ნიხრი დასწიოს: პირველის ხარისხის საქონლის ხორცი 11 კაპ., მეორისა—8 კაპ. და მესამისა—6 კაპ. გირვანქა. კომისიამ თვისი დადგენილობა ქალაქის გამგეობას წარუდგინა და გამგეობაც საბჭოს მოახსენებს 30 ივნისს.

◆ ამ დღეებში ქალაქის მეწვრილმანეები და მედუქნეები შეუდგნენ სავაჭრო ბილეთებისა და პატენტების აღებას ამ წლის მეორე ნახევრისათვის. რადგანაც ეს ვაჭრები ერთბაშად მია[illegible]და სახაზინო დაწესებულებას, მოხელენი [illegible]ერ ასწრობენ მთხოვნელთა დაკმაყოფილებას.

◆ ტფილისის მიკიტნები უჩივიან საქალაქო აქციზის გამწერთ სამართლიანად და შეძლების კვალად არ ანაწილებენ გადასახადსა; ნაცნობობითა და პურმარილობით შემძლე მიკიტნებს ნაკლებს აწერენ და ღარიბებს-კი მომეტებულსაო.

◆ ერთს ახირებულ ამბავს გვატყობინებენ: ს. სამშვილდეში ერთი დედა-კაცი ბნედიანებს არჩენს თურმე რაღაც წამლით. ამ დედაკაცთან ეხლა ხან ერთი ხელოსანი, დიდი ხნის ბნედიანი, მიუყვანიათ, და მალე თითქო წამლობას სასიკეთოდ უმოქმედნია. თუ ეს ავადმყოფი მორჩა, გვპირდებიან ამ ხელოსნისა და თვით მკურნალის ვინაობაც შეგვატყობინონ. კარგი იქნება ისიც გამოცხადდეს, რა წამალსა ხმარობს სოფლის დედაკაცი და რა ღონისძიებით არჩენს ბნედიანებს.

◆ მიწის-ძვრა სოფელ კავთისხევშიაც ყოფილა 26 თიბათვეს ნაშუადღევის 4 საათსა და 23 წამზე. შეშინებული სოფლელები სახლებიდან კარში გამოცვივნულან. ამ კვირის განმავლობაში მიწის-ძვრა ორჯელ ყოფილა.

◆ სურამი. ხუთშაბათს, 26 ივნისს, საღამოს 8 საათზედ, თორმეტი შეიარაღებული ყაჩაღი შეუხტა სახლში აქაურ მდიდარ ურიას, გვარად თარონაშვილს გასაძარცვავად. თარონაშვილის ორი შვილი დიდხანს ებრძოდნენ ყაჩაღებს, მაგრამ ყაჩაღებმა ორივე დახოცეს. თვით თარონიშვილიც და ერთი დედა-კაციც მძიმედ დასჭრეს. ყაჩაღებმა ვერაფერი წაიღეს რადგან, ხალხი მალე მიეშველა, ყვირილი შეიქნა, თუმცა პოლიციის მოხელენი არსად სჩანდნენ. ყაჩაღები არხეინად ასულიყვნენ იქვე სასაფლაოზედ, შესხდარიყვნენ თავიანთ ცხენებზედ და გაქუსლათ.

ტეხნიკის ძალა მეურნეობაში.

რამდენიმე ათასი წელიწადია ემსახურება დაუღალავი მიწა ქართველებს და ჩვენს ერსაც ნიადაგ ხვნა-თესვაში გაუტარებია მთელი თვისი ცხოვრება, მაგრამ დღესაც, მეოცე საუკუნეში, მიწას ამუშავებს იმ წესით, რაც მამა-პაპას გადმოუცია: იგივე კავი და ფარცხი, იგივე საქონელი,—ეხლა-კი კუდით სათრევი. რაც შეეხება პურ-ღვინოს, რომელიც, მიუხედავად ადამის დროინდელის მუშაობისა, აუარებელი ჰქონდა ჩვენს წინაპრებს,—დღეს ეს პურ-ღვინო ძლივსა ჰყოფნის ჩვენს დღიურს საჭიროებას.

მაშინ ხალხიც ნაკლები იყო, მოთხოვნილებაც არა ჰქონდათ-რა, გარდა სმა-ჭამისა და თოფ-იარაღისა,—მეტყვის მკითხველი,—ჩვენ-კი დღეს აუარებელი მოთხოვნილება გვაიძულებს და დღეთი დღე გვემატება, ბუნებაც იცვალა, მიწა მოსავალს აღარ გვაძლევსო. მართალია, მაშინ პირდაპირი მოთხოვნილება ძალიან მცირე იყო, მაგრამ, სამაგიეროდ, ზრუნვა სამშობლოს დაცვისათვის, რამდენიმე საუკუნის განმავლობაში სისხლის დვრა თავისუფლებისათვის ითხოვდა დიდს მატერიალურ ხარჯსაც. რაც შეეხება ეხლანდელ დროის მრავალფეროვან მოთხოვნილებას, ეს ამტკიცებს მხოლოდ ჩვენს კულტურას, განვითარებას; ამ გზაზედ დამდგარი საქართველო თანდათან უახლოვდება ევროპას და ამისათვის ნელ-ნელა უარ-ჰყოფს ზოგიერთ მისთვის გამოუდეგარ ზნე-ჩვეულებას.

ეს კულტურული მიმართულება თავის დასკმაყოფილებლად თხოულობს ფულს და მხოლოდ ფულს. ჩვენთვის ერთად-ერთი ფულის მომცემი მეურნეობაა, ჩვენ-კი, ჩვენდა სასირცხვილოდ, ერთობ ცოტას ვფიქრობთ, ან სულ არ ვფიქრობთ მის გაძლიერებაზედ. ამერიკას თუ დღეს ტოლი არა ჰყავს არც სიმდიდრესა და არც განათლებაში, ეს იმიტომ, რომ მას ტეხნიკა საზოგადოდ და მეურნეობა განსაკუთრებით აუყვანია უაღრეს ხარისხამდე. იმ მუშაობას, რომელსაც ჩვენ უნდა მოვანდომოთ ორი-სამი დღე და ოცი, ოცდა ათი მუშა, იქ ათავებს ერთი კაცი ერთ დღეს და ეს იმიტომკი არა, რომ ის გოლიათი იყოს, არა,—ფიზიკურად ის იქნება თითოეულ ჩვენზე უფრო სუსტიც იყოს, მაგრამ სამაგიეროთ ის შეიარაღებულია ტეხნიკით, ხერხით, და ხერხთან ხომ ღონეს იმდენი ძალა არა აქვს. მის მიწაში ყოველთვის არის საკმარისი საზრდო მცენარეებთათვის. მის ყანებში იშვიათად დაინახავთ ველურ ბალახს, ბელტებს. გვალვას იქ არა აქვს გავლენა მცენარეებზედ ისე, როგორც ჩვენში.

ჩვენს სამეურნეო იარაღების კოლექციას შეადგენენ: ქართული გუთანი, ან დამახინჯებული ბარი, კავი, უოგლად უვარგისი ფარცხი და რაოდენიმე თოხი.

ამ იარაღების სხვა და-სხვანაირ ნაკლულევანებაში უპირველესი არიან:

1) ჩვენის კავით ყოველთვის იხვნება მიწა ერთისა და იგივე სიღრმეზედ (2-ნახევ.—3-ნახევარ ვერშოკამდე). ეს გარემოება შეუძლებლად ხდის გრძელ ფესვიან მცენარეების მოყვანას (მაგ. საქონლის საკვებ წითელ მხალისა, სტაფილოსი და კარტოფილის, იონჯისა და სამყურასი), რომელთა გავრცელება ჩვენში აუცილებლად საჭიროა. გარდა ამისა, მცენარეთა საკვებ გამოდეულ ზედაპის ქვეშ რჩება უხლებლად ნიადაგი, რომელშიაც იმყოფება, როგორც ხელ-უხლებელი თანხა, მცენარეთა საზრდო; ეს ნიადაგი რომ რიგიანად მოგვეხმარა, არც-კი შევიტყობდით მოსავლის დაკლებას.

2) კავი ვერ აბრუნებს მიწას ისე, რომ ზევიდა პირი, ბალახებით შემოსილი, ქვევით მოაქციოს და მათი ძირები ზევით, მზისაკენ.

3) კავით მოხნულ მიწაზედ რჩება ბევრი უხნავი ადგილები. ამ ორ გარემოების მიზეზით ჩვენს ყანებს ერევა ათასნაირი ველური ბალახები. უხნავ ადგილებზედ ამოსული ბალახების თესლები იფანტება მინდვრად და ავრცელებს აუარებელს ბალახს. გარდა იმისა, რომ ველურ ბალახების მოსასპობლად ეკარგება ბევრი დრო მუშას, რომელიც სრულებით მაინც ვერა სპობს თოხით უვარგისს მცენარეს,—ველური ბალახი ართმევს საზრდოს კულტურულ მცენარეებს და მით უშლის რიგიანს ზრდას. კავი არამც თუ ვერა სპობს ველურ ბალახებს, პირ იქით, უფრო აძლიერებს. კავი მათ მიწას უფხვნის, ჰაერს ამოძრავებს მიწაში და იმის გამო ბალახები სისწრაფით იზრდება და, თუ თავის დროზედ ვერ მიაშველეს თოხები, სრულებით დაახრჩილავენ დათესილ თესლებიდგან ამოსულ მცენარეებს.

4) რაც შეეხება ფარცხს, ის ყოველ მხრივ უსარგებლოა: ვერ ამტვრევს ბელტებს, ვერ ჰფარავს დათესილ თესლებს, ვერ აგროვებს ბალახებს; ამიტომაც აუარებელი თესლი იკარგება უნაყოფოდ: ბევრს იმათგანს ფრინველი ჰკენკს; ბევრს ფარცხვის დროს ბელტები ეფარება ზედ და ამიტომ თესლი ვეღარ ამოდის. ბელტებით მოფენილ ყანას ყოველთვის ერევა გვალვა.

რასა თქმა უნდა, რომ ამ ორ იარაღის პატრონი დათესილ მარცვალსაც ვერ მიიღებს თავის მიწიდგან, და ასეთს მეშამულეს მალე ეკარგება სიყვარული მიწა-წყლისა და ადვილად ეძლევა მას. ამიტომაც გასაკვირი არ არის, რომ ამერეთის და იმე

რეთის თავად-აზნაურთა კრებამ აუცილებელ საჭიროებად სცნო თავად-აზნაურთათვის გავრცელება სამეურნეო სწავლისა და ამისათვის გადასწყვიტა სამეურნეო სასწავლებლის დაარსება უმაღლესად ნაბოძებ ფულით. რა ტიპისაც უნდა იყოს სასწავლებელი, საშუალო თუ დაბალისა, ის უსათუოდ მიაწოდებს მეურნეებს სხვა-და-სხვა გვარ სამეურნეო იარაღებს, რომელნიც განიყოფებიან დაახლოვებით ხუთ ჯგუფად. პირველს ეკუთვნის მიწის შესამუშავებელი, მეორეს—დასათესი, მესამეს—მოსავლელი მცენარეთა, მეოთხეს— ნაყოფთა შემაგროვებელი, მეხუთე შეიძლება იქმნეს სალეწი, სანიავებელი, საფშვენი, საწმენდი და ამის მსგავსი სხვა.

მიწის შესამუშავებელ იარაღებით:

1) აფხვიერებენ და აბრუნებენ მიწას (გუთნით, საფენიან კავით და ეგრედ წოდებულ ჩქარა-მხვნელით (Скоропашка).

2) აფხვიერებენ და ერთმანეთს ურევენ მიწას (ფარცხით ჩქარა-მხვნელით, ზოგიერთ კავით)

3) აფხვიერებენ მიწას მის გადაუბრუნებლად (ბელტ-მტვრევლ იარაღით (глыбодробъ).

4) სტკეპნიან შემუშავებულ მიწას სხვა-და-სხვა საჭიროებისათვის (სატკეპნი იარაღით).

ის იარაღები, რომლის ხმარებითაც მცოდნე და დაკვირვებულს მეურნეს მოჰყავს სასურველი მოსავალი, ათასნაირია და მათი გამორჩევა ამა თუ იმ ადგილისათვის არც ისე ადვილია; მაგალითად, არიან იმ ნაირი გუთნები, რომელნიც საუცხოვოდ ხვნენ ერთ თვისების ნიადაგს და სხვა თვისების ნიადაგისათვის თითქმის უვარგისია. თუ ერთი ფარცხი კარგი გამოდგა ერთ შემთხვევაში, მეორეში შეიძლება სულ უვარგისი გამოდგეს. ეს დამოკიდებულია, როგორც ზეადგის თვისებაზედ, ისე მის შემუშავების დროზედ და მეტადრე იარაღის კონსტრუქციაზედ და მუშაზედ.

უეჭველია, თუ მალე არ შემოვიღეთ რიგიანი სამეურნეო იარაღების ხმარება, თუ თავი არ დავანებეთ უსარგებლო მიწის დასვენებას,—ჩვენ, მიწის სივიწროესთან საზოგადო შიმშილსაც უნდა მოველოდეთ და ისიც, დრო გამოშვებით-კი არა, არამედ ზედი-ზედ ყოველ წელს. ჩვენს მეურნეობაში ეს ტეხნიკური ნაკლი რომ არ იყოს, შიმშილი ჩვენში შეუძლებელ მოვლენად უნდა ჩაითვალოს: ჩვენს თბილ ჰავასთან, მოკლე ზამთართან, ათასნაირ ტოპოგრაფიულ მდგომარეობასთან და შრომის მოყვარე მუშასთან, თამამად შეგვიძლიან პირველი ადგილი დავიჭიროთ მსოფლიო ბაზარში და ამას ხელს უწყობს სხვა გარემოებასთან ერთად გზები—რკინისა და ზღვისა.

ჩვენი ბუნება და მიწა-წყალი რომ ხელს უწყობს მეურნეობის აღყვავებას და გვიქადის სიმდიდრეს, ამას გვიმტკიცებენ კოლონისტები და უცხოელი წვრილი მემამულენი, რომელნიც ჩამოსულან ჩვენსა უფულოდ, შიშველ-ტიტველნი და მშიერნი, მაგრამ აღჭურვილნი იყვნენ სამეურნეო ცოდნით, მუშაობის სიყვარულით და ენერგიით,—და დღეს მდიდრები არიან. მათი ცოდნა, დაკვირვება და მოთმენა ჩვენც უნდა შევიძინოთ. ამ ელემენტების შეძნა და გამოყენება ჩვენ შეგვიძლიან მხოლოდ მაშინ, როდესაც განმსჭვალულნი ვიქნებით სამშობლოს და იმ მიწა-წყლის სიყვარულით, რომლის დასაცველად რამდენიმე საუკუნის განმავლობაში იქცეოდა წინაპართა სისხლი. თუ მაშინ ასწრებდნენ მტრის მოგერებას და მეურნეობასაც, ნუ თუ ეხლა, მშვიდობიანობის დროს, ვერ გამოვიყენებთ ჩვენს დედა მიწას, რომელზედაც დამყარებულია ჩვენი მომავალი?...

ნ. მკურნალი.

ვითომ სამეცნიერო კრიტიკა.

დიდი ხნის სიჩუმის შემდეგ დაიბეჭდა „Нов. Обоз.“-ში (№ 6346) კრიტიკული განხილვა ილ. ჭავჭავაძის წიგნისა: „სომხთა მეცნიერნი და ქვათა ღაღადი“. ავტორი ილ. ჭავჭავაძის წიგნს უწოდებს „ვითომ სამეცნიერო შრომას“, ჩვენ მისი განხილვა უნდა აღვიაროთ „ვითომ სამეცნიერო კრიტიკად“,

ასეთი უგბილოდ დაწერილი სტატია ჩვენ არსად შეგვხვედრია. ორი-სამი კალმის მოსმით ავტორს ჰსურს დაასუსტოს და გაანადგუროს საფუძვლიანი გამოკვლევა ჩვენის სასიქადულო მოღვაწისა. ავტორი თვალ ახვეულად განიხილავს ილ. ჭავჭავაძის წიგნში მოყვანილს ფაქტებს და ამაოდ სცდილობს მათ დარღვევას. პროფ. პატკანოვმა მხოლოდ კრიტიკულად შეხედა ქართლის ცხოვრებას“ და სრულიადაც არ ამტკიცებდა, რომ მეთორმეტე საუკუნეში ქართველებს არ მოეპოვებოდათ მატიანეო.. ამის მთქმელს ან არ წაუკითხავს პატკანოვის წერილი, ან და წაკითხულის გაგება არ შესძლებია, ქართულს ეკლესიებზედ ზედწარწერების წაშლა და სომხურად გარდაქმნა ავტორს არ სჯერა, თუმცა ამას მოწმობენ ,,ოფიციალურად'' მომხდარი გამოძიებაც, მაგალითად დუშეთის მაზრაში. ,,ვეფხის ტყაოსნის'' შესახებ უაზრო სიტყვების წამოსროლის მეტი ვერა მოახერხა-რა და უსაფუძვლოდ ადარებს შოთას პოემას „ვისრამიანს“, რომელიც ნათარგმია სპარსულიდან.

სომხურის და ქართულის ენების ნათესაობა ყველასაგან უარყოფილია და აზრი ქართული ენის მონათესაობის შესახებ ურარტელთა ენასთან გამოთქმულია ლენორმანის და სეისის მიერ, რომელთაც გვერდით უდგიან გუიარი და ჰომმელი. გუიარმა, თუმცა კრიტიკულის წერილის ავტორი შემცდარად უარყოფს, აღმოიკითხა ვანის ზეწარწერებში ნამყო უსრულის სუფიქსი და, რომელიც უდრის ქართულ ზმნის სუფიქსს (ჰწერდა) სანდალჯიანი, რომელიც ამტკიცებს სომხური და ურარტელების ენის მონათესაობას გაკიცხულ იქმნა თვით სომხურს მწერლობაში, როგორც საოცნებო თეორიის მოტრფიალე. რაც შეეხება ხეტიტების და ურარტელების მონათესაობას და ორთავე მათს კავშირს ქართველ ერთა ი. ჭავჭავაძეს მხარს უჭერს მიუნხენის პროფესსორი გამოჩენილი ორიენტალისტი ჰომმელი.

ამ გვარად კრიტიკული წერილის ავტორმა ვერ დაარღვია ვერც ერთი მუხლი ილ. ჭავჭავაძის წიგნისა და მხოლოდ რიტორიული კითხვით მოისურვა საყურადღებო საგნის ჩაფუშვა. როგორც ძველი აგრეთვე ახალი გამოკვლევანი ეთანხმებიან ილ. ჭავჭავაძის მიერ გამოთქმულს აზრს.

ფ. ტვითმძიმელი.

შემცდარი აზრი.

(პასუხად ბ-ნს ყუმისთაველს)

გუშინდელს ნომერში ჩვენმა თანამოკალმემ დაბეჭდა წერილი: „წერა-კითხვის საზოგადოება და სკოლების ცალკე რევიზორი“. უპირველესად ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ, რომ ტერმინი „რევიზორი“ მყვირალაა და არ შეესაბამება იმ ფუნქციას, თავმდაბალს თანამდებობას, რომელიც უნდა აკისროს გამგეობამ ახალ პირსა. ეს მყვირალა სახელი ალბად იმიტომ დაურქმევია ბ-ნს ყუმისთაველს, რომ ღირსი გახადოს ეს თანამდებობა დიპლომიანისათვის. დიაღ, ჩვენ თანამოკალმეს საჭიროდ მიაჩნია, რომ ამ თანამდებობაზე გამწესებული იყოს უთუოდ დიპლომის მქონე ქართველი. რა საბუთით? ქუთათური სააზნაურო სკოლის რევიზიას ვერ მოახდენს ახლად გამწესებული პირი, თუ მას დიპლომი არ უძევს ჯიბეშიო. ამის პასუხად უნდა მოვახსენოთ, რომ ამ სკოლას რევიზია ძალიან ნაკლებად ესაჭიროება. მას კარგი ხელმძღვანელი ჰყავს და ეყოლება. თუ მაინც და მაინც მას რევიზია დასჭირდა, ეს რევიზია მიენდობა ან რომელსამე წევრს გამგეობისას, ან რომელსამე ქუთათურს პედაგოგსა. რევიზია უჭირთ, და საშინლადაც უჭირთ, ჩვენს სოფლისა და და დაბების სკოლებსა და სწორედ ამათი ხელმძღვანელი უნდა იყოს ახალი პირი. დიპლომიანს დიდი ჯამაგირი უნდა, არა ნაკლებ ორასი თუმნისა, და სადა აქვს ამისი სახსარი ჩვენს „საზოგადოებას“. თუ დიპლომიანი დასთანხმდება მცირე ჯამაგირზე, ამას ჩაიდენს იმ განზრახვით, რომ სკოლების რევიზიაზე წელიწადში ერთხელ-ორჯელ გაისეირნოს და სხვა დროს-კი იცხოვროს ტფილისში, იქონიოს გაკვეთილები, ან პანსიონი და მთავარი თავისი დრო და შრომა ამ თავისს საკუთარს საქმეს მოახმაროს.

ყოველ შემთხვევაში დიპლომიანისათვის ეს თანამდებობა იქნება მხოლოდ დროებითი სტანცია და მას შერჩება იგი მხოლოდ იმ დრომდე, ვიდრე საუკეთესო ადგილს იშოვნიდეს. ამის გამო ეს თანამდებობა ყოველს ორ წელიწადში ახალს პირს იხილავს და რამდენად არის ეს მავნებელი საქმისათვის, ამას ახსნა და განმარტება არ ესაჭიროება.

მეორე მხრივ, პირველ დაწყებითს სკოლის ხელმძღვანელს დ მეთვალყურეს უსათუოდ უნდა ჰქონდეს შესწავლილი ზედმიწევნით თეორიტიულად და პრაქტიკულად ელემენტარული მეთოდიკა და დიდაქტიკა. უამისოდ იგი უძლური იქნება საქმე რიგიანად წარმართოს. „თვით ბრწყინვალე პროფესორი უნივერსიტეტისა ვერას გააწყობს სახალხო სკოლაში, თუ მას სპეციალური მომზადება არა აქვს პირველ დასაწყისს დიდაქტიკაშიო“, სთქვა უშინსკიმ, და სთქვა სრული ჭეშმარიტება. ამის გამო, თუ გსურთ, რომ ფული ბევრი გაიღოთ და სიკეთე-კი ძლიერ მცირე მოიმკოთ, დიპლომიანი გაამწესეთ ამ ახალს თანამდებობაზე.

რა უნდა გაუკეთოს ახალმა თანამდებობამ წერა-კითხვის საზოგადოებას? იმათ, ვინც ამ თანამდებობას იკისრებს, ხშირად უნდა იაროს ამ საზოგადოების სკოლებში, წელიწადში ოთხჯერ-ხუთჯერ, ყური უგდოს სწავლა-აღზრდის მსვლელობასა, აძლიოს ყველა სკოლაში სამაგალითო გაკვეთილები, და ახლანდელი ცოცხალ-მკვდარი სკოლები ფეხზე დააყენოს, გააცოცხლოს. მაგრამ ეს არა კმარა. საჭიროა იმავე პირმა გამართოს სოფლებში სახალხო საკითხავები (народныя чтенія), საკვირაო სკოლები, ინახულოს ხოლმე აგრეთვე სადირექციო და სამრევლო სკოლები, შესძინოს ახალი წევრები წერა-კითხვის საზოგადოებას და „საზოგადოების“ ყველა სკოლასთან დაარსოს საპედაგოგიო ბიბლიოთეკა, და სხვანი.

ყველა ამას შესძლებს მხოლოდ ის, ვინც კარგი ხანი ყოფილა მასწავლებლად პირველ დაწყებითს სკოლებში, უწარმოებია სახალხო საკითხავები და საკვირაო სკოლები პირადად, მუყაითად უდევნებია თვალი პედაგოგიურს ლიტერატურისათვის, და, როგორც იტყვიან, საქმის შუაგულში სდგას.

ჩვენ ინტელიგენციაში ჩვენ ვერ ვცნობთ ვერც ერთს დიპლომიანს, რომელსაც ჰქონდეს ამ საქმისთვის საჭირო მომზადება და გამოცდილება. მეორე მხრივ ყოველი უფროსი მასწავლებელი წერა-კითხვის საზოგადოების სკოლებისა აღჭურვილია შესაბამი ცოდნით, უნარით და გამოცდილებით. აი, ამ უფროსს მასწავლებელთა შორის უნდა მონახოს კანდიდატი ამ ახალი თანამდებობისათვის. ამ შემთხვევაში ფულიც ნაკლები დაეხარჯება, სიკეთესაც დიდს მოიმკის, და თავისს მასწავლებლების მხნეობის გაძლიერებასაც მოეხმარება. ამას უნდა დავუმატოთ ორი მოსაზრება. პირველი მდგომარეობს იმაში, რომ „წერა-კითხვის საზოგადოების სკოლების მეთვალყურეს“ დამოკიდებულება ექმნება მხოლოდ გამგეობასთან, და იგი მოკლებული იქმნება

უფლებას იყოს წარმომადგენელი და პასუხის მგებელი მთავრობის წინაშე. მეორე აზრი ის გახლავთ, რომ ინსპექტორებად სახალხო სკოლებისა მწესდებოდნენ და მწესდებიან უმეტეს ნაწილად არა დიპლომიანები, არამედ საშუალო სპეციალურის განათლების პატრონნი, და ეს უკანასკნელი ყოველთვის ითვლებოდნენ და ითვლებიან უფრო კარგ ხელმძღვანელებად, ვიდრე პირველნი.

ვარ—ნელი.

ცოტა რამ ჩვენი თეატრის და მის სულის ჩამდგმელების შესახებ.

„ჩვეულება რჯულზე უმტკიცესია“,—გვამცნევს ხალხური ანდაზა და მართლაც რომ რჯულზე უმტკიცესია.

თითქმის ყოველთვის, როცა-კი ჩვენში რაიმე საზოგადო საქმე ვერ ხეირობს, ან კოჭლობს, ან სრულიად იფუშება, მისი მეთაურნი და უმეტესობა ჩვენი ინტელიგენციისაც საზოგადოებას ემდურებიან, გამოუცხადებენ საყვედურს და მასვე აბრალებენ საქმის წახდენას. ნამდვილად-კი ეს არც ისე ახლოს არის ჭეშმარიტებასთან, მაგრამ აბა ვინ შეიწუხებს თავს საჩხრეკად და ნამდვილ მიზეზის გამოსაძებნად. ესეც არ იყოს ბევრად უფრო ადვილია მწერლისათვის საზოგადოების, ე. ი. უმრავლესობის გამტყუნება, ვინემ ერთი ან რამოდენიმე პირისა პირად უსიამოვნების ასაცილებლად. ასევე ემართება ჩვენი თეატრის გულშემატკივართ, როდესაც ჩვენი თეატრის უძლურებას საზოგადოების გულგრილობას აბრალებენ. შეიძლება ამან ბევრი გააწწმატოს, თავხედის სახელითაც-კი მომნათლიან, მაგრამ რაც მართალია, უნდა ითქვას. ვერ ვიტყვით, რომ საზოგადოება არ ექცეოდეს გულგრილად ჩვენ თეატრს და საზოგადოება არა მარტო მაღალი წრისა, როგორც ამას საყოველთაოდ გაიძახიან, არამედ ცხრა მეათედიც ჩვენი ინტელიგენციისა. რა არის მერე ამის მიზეზი? რათ გაურბის ჩვენი საზოგადოება თეატრს, ამ ტაძარს ხელოვნებისას, რომელიც პირუთვნელი სარკეა ცხოვრებისა, როგორც წარსულის ისე აწმყოსი და დაუშრეტელი წყარო, გონების მასაზრდოებელი, გრძნობა-ზნეობის განმასპეტაკებელი. ნუ თუ ჩვენი საზოგადოება არ არის იმდენად მომზადებული, რომ იგრძნოს საჭიროება ამ დიადი სკოლისა და მიაშუროს მის კედლებს? სასიხარულოდ ჩვენდა ეგ არ ითქმის და ამის საბუთად ისიც კმარა, რომ გემოვნება თბილის ხელოვნებისა სხვა-და-სხვა დარგის დაფასებაში განთქმულია ცოტა უფრო შორსაც, მაშასადამე, ჩვენც გვიძევს ამაში წილი. მაშ რათ გაურბის იგი, იკითხავს მკითხველი,--ტკბილ დედა-ენაზედ მომუსიკე თეატრს? თავად იმიტომ რომ დღევანდელი ჩვენი თეატრი მომუსიკე კი არა, მოლუღლუღეა, და ქართველს, ამის შემყურეს, გული უკვდება, თან ბრაზი ერევა, რომ ხელოვნებას მისსავე ტაძარში ასე უდიერად ექცევიან მისივე ქურუმები, რომელთაც, რაკი მოქმედების სარბიელად ეს დიადი ასპარეზი აურჩევიათ, კიდევაც ხელ შეუხებელ წმინდა წმინდათად უნდა მიაჩნდეთ იგი. მოიგონეთ გასული წლის რეპერტუარი, წარმოდგენების მართვა-მოწყობა და მერე მსახიობთა თამაში და მაშინ თუ ხშირად დაბრძანდებოდით თეატრში და გაინტერესებდა მისი ავ-კარგი, დამეთანხმებით, რომ აქ საზოგადოებას სრულიად არ მიუძღვის დანაშაული. თამამად შემიძლია ვსთქვა, რომ სცდება და ძლიერადაც სცდება ის, ვინც ფილანტროპიულ გრძნობით შეჰყურებს თეატრს და ითხოვს ამასვე სხვისგან. იგი მოწყალებას კი არ უნდა საჭიროებდეს, არამედ იქით უნდა იძლეოდეს, აქეთ-კი არ უნდა ეხვეწებოდეს მესტუმრეთ, მომწყინდა მარტოობაო, არამედ იქით უნდა აწყდებოდეს მნახველები, მიღებას ვერ ასწრებდეს, აქეთ-კი არ უნდა უხრიდეს ბრბოს თავს, არამედ ამაყად მდგარი მის წინაშე ქურუმების პირით ჰქადაგებდეს და პირუთვნელ მსჯავრს სდებდეს ადამიანთა მოქმედებას. ყველა ეს საოცნებო რამ კი არ გეგონოთ, ბატონებო, პირიქით რეალური და ადვილად მისაღწევია გამგეობისა და მსახიობთა სიყვარულითა და შეთანხმებით მოქმედებასთან, რადგან ჩვენ საკმაოდ მოგვეძებნება ნიჭიერნი და გამოცდილი მსახიობნი და საქმის მცოდნე კაცები, მაგრამ რათ გინდათ, თავიანთ ცოდნას და ნიჭს უკუღმართობას ანდომებენ. ხშირად გამიგონია სულითა და გულით ქართველი ინტელიგენტებისაგან, როდესაც შევკითხივარ, რათ არ დადიხართ ჩვენს თეატრში მეთქი? ასეთი პასუხი:—რა ვქნა, კეთილო, თუმცა ძალიან გულით მინდა წავიდე, მაგრამ.. მაგარი ის არის, რომ ჩემის ფიქრით კაცი თეატრში იმიტომ მიდის, რომ ისიამოვნოს და თან წამოიღოს რაიმე საზრდო ან გონებისათვის, ან ზნეობისა და გრძნობათათვის; მე კი დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი თეატრიდან არც ერთს ამას არ გამომატანენ და თან ისეთს უსიამოვნებასაც ვნახავ, რომ ბედს ვიწყევლიდეო,—რას მოვეხეტებოდი— რა უნდა მეთქვა ასეთი პასუხის შემდეგ, როდესაც მე თვითონ, თქვენი უმორჩილესი მონა, ვყოფილვარ არა ერთხელ მოწამე იმისა, რომ მსახიობის წვალებას, როლის უცოდინარეობით და ან სხვა რაიმე არა საპატივსაცემო მიზეზის გამო, გული მოუკლავს მაყურებლისათვის და თავ-ჩაღუნულს ცალკე სირცხვილით და ცალკე შეწუხებით თვალი ვერ გაუჩერებია სცენისთვის, სადაც ასეთს წვა-დაგვაშია მსახიობი თავის მიერ შექმნილ ტრაგიზმით. არა ერთხელ ყოფილა ისეთი მაგალითიც, რომ მსახიობის შეუსაბამო და

ფელეტონი

მაძღარნი და მშიერნი

(სოფლის ცხოვრებიდგან)

II

მდიდრულად და გემოვნებაზედ მორთულ სასტუმრო ოთახში გადაშლართული დიდს ფართო სავარძელში იჯდა თვით ალექსანდრე, მის გვერდით—მისი მეუღლე და მათ ირგვლივ რამდენიმე საპატიო სტუმარი. ესენი, როგორც შეეფერება ხანში შესულს პირებს, დინჯად ისხდნენ და ტკბილს ლაპარაკში იყვნენ გართულნი. ეტყობოდათ, რომ მათ მოსწყინდათ მთვარეც, ბუნებაც, ცეკვაც, მუსიკაც, მხიარულებაც და ამ მშვენივრად მოწყობილს მომარჯვებულ ოთახში, ყმაწვილების ხმაურობაში და ჟივილ-ხივილში სიამოვნებით იგონებდნენ წარსულს, ადარებდნენ აწმყოს და ეტყობოდათ, რომ ძალიან უკმაყოფილონი იყვნენ ამ აწმყოსი. ყველაზედ მეტად სცხარობდა ერთი მოხუცებული თავადი, ალექსანდრეს მეზობელი, რომელსაც ეცვა გვერდებზედ წითელ ზოლებ-ჩავლებული შარვალი და სამხედრო სამსახურიდან გამოსულის გენერლის მუნდირი.

— რასა ბძანებთ,—ცხარობდა გენერილი,— ეხლანდელი ყმაწვილ-კაცობა იტანჯება, ისე, ტყუილ-უბრალოდ თვითონვე ეძებს და პოულობს ამ ტანჯვას. რაღაცა დაღვრემილები არიან, ყველაფერს ემდურიან, რასაც წინად მხიარულებას ვეძახდით, იმას სისულელეს და ბავშობას უძახიან. მაგათი მხიარულება ეხლა ის არის: შეიყრებიან ერთად, გაიგდებენ ერთს რამე საგანს, უმნიშვნელოს, უსაფუძვლოს და ერთმანერთს თავპირს ამტვრევენ! აი, ჩემი შვილები აიღეთ, რა უნდათ?—ყმაწვილი ბიჭები, სიცოცხლით სავსენი, ნასწავლნი, შეიძლება ვსთქვათ, მდიდარნიც,—და რა? იმის მაგივრად, რომ ისარგებლონ ყოველი ღვთის მადლით, ამის მაგივრად... იტანჯებიან... მოხუცებულებსა ჰგვანან. მათთვის არც მხიარულებაა, არც ჩაცმა-დახურვაა, არც ქალები, არც არაფერი.. რაღაცა... რაღაცა... ერთი სიტყვით ის არ არიან... აი ის არ არიან!—ბევრი ძებნის შემდეგ, რომ ვერ იპოვნა შესაფერი სიტყვა, ხელების ქნევით დაამთავრა გენერალმა.

— წახდა ხალხიც და ქვეყანაც!—დაიხსნა გაჭირებისაგან გენერალი ქართულ კაბაში კოხტად გამოწყობილმა, ასე ორმოცდა ათის წლის კაცმა, რომელსაც სახეც და თვალებიც ამხელდნენ, რომ ის იყო და, მისდა საუბედუროდ, არის კიდეც ქალებისა და ღვინის მსუნაგი.

— ჩემს ყმაწვილ კაცობას რომ მოვიგონებ და შევადარებ ეხლანდელებს, გამეცინება ხოლმე! არ დამიჯერებთ, ზოგჯერ ღამე, მეორე დღე და კიდევ ღამე გაგვითენებია სუფრაზე და ისე ვყოფილვართ, როგორც აი ეხლა მხედავთ. ეხლა-კი ერთი საათის ძილი რომ დააკლდეს ჩვენ ყმაწვილ კაცს, ან თავი ასტკივა, ან ფეხები მოეკვეცება. დილიდან საღამომდე ცხენზე ისე გავატარებდით, რომ არც კი ვიგრძნობდით. ჯირითი, სროლა, მკლავის და ხმლის შინჯვა, ლეკური, სიმღერა, ღვინის სმა ყველაში გამარჯვებულები ვიყავით! არც სულელები გახლდით, ამაზედ ბოდიშს მოვიხდი ყველასთან, მაგრამ მხიარულებას არ ვაკლდებოდით. ეხლა ჩვენი ყმაწვილების მხიარულება ის არის, რომ მოხვევენ ქალს ხელს და ბზრიალასავით ტრიალებენ ერთს ალაგას! ზოგი არც იმას სჩადის; ეხლა ვინც უფრო სუსტია, ვინც ყველაზედ ჩუმად არის, ვინც მოკაკულია და ცხვირზედ სათვალეები აქვს გაკეთებული, ყმაწვილ კაცებში ბელადი ის არის!

ამ ოხუნჯობაზედ ყველას გაეცინა, ალექსანდრე ხომ დიდხანს ხათხათებდა.

— არა, მართალი ხარ, მართალი, ჩემო ილია! ძალიან აქვთ თავში სწავლა ავარდნილი... შენი ნალაპარაკევი არა მოსწონთ რა. ყოველს შენს აზრზე და საქციელზე ცხვირებს იფხეკავენ, თვითონ კი რასაც იტყვიან... ოოო, ჩამოეცალე!..

— ერთი სასაცილო ამბავი უნდა გიამბოთ ერთს ჩემს ძმისწულზე, რომელმაც უმაღლესი სასწავლებელი გაათავა და შარშან ჩამოვიდა ისე, რომ ჯერ სამსახურშიაც არ შესულა. მე, როგორც მოგეხსენებათ, თვითონ არა ვხნავ და არ ვთესავ, რადგან აქ მიწა ძვირია და გლეხკაცი სანახევროდ დიდის სიამოვნებით იღებს მიწებს, ჩემთვისაც ეს დიდი სარფა არის. ამას იმიტომ გეუბნებით, რომ ერთს გლეხკაცს მივეცი სანახევროდ ოთხი დღის მიწა. სვინიდისიანი გლეხკაცი იყო, რა მომაგონებდა. კარგი... იმან მოხნა, დათესა პური, მომკა და ბულულებათ დადგა, რომ ჩვენ შეგვეძლო გაყოფა ორად. ვხედავ ეს გლეხკაცი არ უყოფს ჩემს მოურავს, აგვიანებს გაყოფას, ხან რა საქმეს გამოიჩენს, ხან რას. თურმე ნუ იტყვით, ამ დროს იმას მოუპარავს ორი კარგი ბულული და სახლში-კი ვერ წამოუღია, იქვე სხვის მიწაში გადაუტანია. ერთმა მისმავე მეზობელმა მითხრა ეს ჩუმად, უშველა ღმერთმა!..

სტუმრებს ზმუკუნი აუტყდათ.

— ჰმ... დახე... დახე.

— ქურდები არიან, ნამდვილი ქურდები...

— არა, როგორ გაბედა, როგორ...

ალექსანდრემ განაგრძო:

— მე რასაკვირველია ოქმი შევუყენე და სასამართლოში უჩივლე. მაგრამ ეს არაფერი. კარგი ის არის, რომ ჩემი დარბაისელი ძმის წული მოვიდა ჩემთან, მოციქულად თუ თავისით, ეგ აღარ ვიცი, და... იმის მაგივრად, რომ მთხოვოს, შემეხვეწოს, ვაპატიო, შევიბრალო ის გლეხ-კაცი,—იმან დამიწყო აბდაუბდა ლაპარაკი, მიჰყვა, მოჰყვა და უნდოდა თავის ჭკუით დაემტკიცებინა ჩემთვის, რომ ის გლეხ-კაცი ქურდი არ არის!..

ყველამ ადგილიდგან წამოიწია და თვალები დააჭყიტა. ალექსანდრემ დაიცადა პატარა ხანს და განაგრძო გულ-მოსულმა:

— მე ოხერო, როგორ თუ ქურდი არ არის?—ვეკითხები მე.—ხომ მოიპარა?—არა არ მოუპარავსო.—მაშ რა ჰქნა?—თავისი წაიღოვო.—აი ჩვენი პირობა მეთქი.—ვუჩვენებ მე პირობას,—კარგი რომ მქონდა.— მაგრამ რა? არც-კი დაუხედნია პირობისთვის, გააბა კიდევ ლაპარაკი, აქეთ მოეხეთქა, იქით მიეხეთქა და ბოლოს მევე გამომიყვანა ქურდიც, მატყუარაც და ყაჩაღიც!.. რას იტყვით ამაზედ?

ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა, ზოგი ამ შთაბეჭდილებისაგან ენა ჩავარდნილნი, ზოგიც სახლის პატრონის პატივისცემით ხმას არ იღებდა.

ღამის პირველი საათი იქნებოდა, მუსიკა შესწყდა. მხიარულებამ და სიცილ ხარხარმა იკლო. ყველას დაღლილობა დაეტყო. მოცეკვავენი გაწითლებულ-გაოფლიანებულნი გაფანტულიყვნენ და ხელსახოცის ქნევით სცდილობდნენ სული მოებრუნებინათ. ყველა ვახშმის მოლოდინში მიჩუმდა. გამოცდილმა მასპინძელმა მალე გაუგო სტუმრებს ეს სურვილი და, რა შეეკითხა ჯერ თავის მეუღლეს მერე მოურავს, მაღალის, მხიარულის ხმით დაიძახა: „აბა, ბატონებო, მობრძანდით, ვახშამი მზადა ყოფილა. მობრძანდით!“... ამ სიტყვებმა მალე მოიარეს ყველა სახლის კუთხეში და ხუთის წამის შემდეგ ყველანი ორ-ორნი ერთმანეთის პატიჟით, თავაზიანად გაემგზავრნენ სასადილო ოთახისაკენ.

დიდს, გრძელს მაგიდაზედ გაშლილი იყო სუფრა ორმოცი კაცისა. სუფრა, შესახოცები, თეფშები დანა-ჩანგალი და სხვა სუფრის იარაღი ყველაფერი ბრწყინავდა სისუფთავით. სუფრაზედ იდგა კოხტად ჩამწკრივებული აუარებელი სხვა-და-სხვა ცივი საჭმელი, მაგარი სასმელები და საკუთარ ვენახების ღვინოები. ეტყობოდა, მასპინძელს უნდოდა განცვიფრებაში მოეყვანა სტუმრები, როგორც მო-

---

*) იხ. ,,ივერია", № 138.

ასეთი სცენისათვის უკადრისი საქციელით გაბრაზებული მაყურებელი შუა წარმოდგენის დროს სტოვებს თეატრის დარბაზს და სახლისაკენ მიეშურება ასე მშვენივრად ნასიამოვნები.

ეხლა ერთი ჰიბრძანონ იმათ, ვინც საყველპურს უცხადებს საზოგადოებას, რა არის თუ არ საზოგადოების აბუჩად აგდება, რა არის ეს თუ არ ხელოვნების შეურაცყოფა, თუ არ დაცინვა საზოგადოების წმინდა გრძნობაზედ? მერე ვისგან ითმენ ყოველივე ამას, იმ ადამიანთაგან, რომელნიც გვაყვედრიან თავიანთ სამსახურს და ამაყად გაიძახიან, რომ ჩვენ ხელოვნების მოსამსახურენი ვართ, რითაც ღვაწლი მიგვიძღვის საზოგადოების წინაშე, მაგრამ არ გვაფასებენო! მართალია და კვალადაც მართალი, თუ კი ამას ხელოვნების და საზოგადოების სამსახური ეწოდე. ფარდის უკან რაც ხდება, ეს ერთმა ალახმა უწყის, მაგრამ ამას ვინღა დაეძებს, ამდენ მწვავე ნაკლთა შორის, მხოლოდ არ შემიძლია არ მივაქციო მკითხველის ყურადღება ერთს ასეთ შემთხვევაზედ. ხშირად გაიგონებთ, თუ მიაქცევთ ყურადღებას კულისებში მომხდარს ამბებს, ასეთს უადგილოდ და შეუგნებლად მსახიობისაგან წამოსროლილს სიტყვებს: თუ ჩემი თამაში არ მოგწონს, სხვას გადაეცი ჩემი როლები, მე სრულიადაც არ ვითამაშებო, ან და— თუ ამა და ამ როლს მომცემთ, ვითამაშებ თუ არა და სულ არ გამოვალ სცენაზეო. ამისთანა მზგავსი მაგალითები ბევრია. რაც უფრო სამწუხაროა ამას ისეთ მსახიობისაგანაც-კი გაიგონებ, რომელიც კარგა ხანია, რაც სცენას ემსახურება და მაშასადამე უნდა ჰქონდეს მისი პატივისცემა და სიყვარული, მაგრამ აბა საიდან სჩანს, როდესაც ასე სარგებლობს სცენის სიღარიბით, რომელსაც ერთსა და იმავე როლზე ხშირად ერთი მსახიობის მეტი არ მოეძევება. ყველა ამის შემდეგ ვკითხავ, აქვს თუ არა იმათ უფლება, რომ საზოგადოების სიყვარული მოითხოვონ!?

დასასრულ, თუ გავიმეორებთ ლ. ყ—ის სიტყვებს იძულებული ვართ დავუმატოთ ამ მწერლის სიტყვებს შემდეგი მოსაზრება. თეატრის საქმის წინ წასაწევად საჭიროა გამგეობას დიდი შრომა და გამჭრიახობა, ენერგიული და წინდახედული მოქმედება საქმის დაწყების სათავეშივე. ამიტომ საჭიროა იშოვონ არა თუ საქმის ცოდნისა და უნარის მქონი რეჟისორი, არამედ მსახიობთა გუნდის შედგენის დროს მეტი სიფრთხილე და დაკვირვება საჭიროა, რომ ულირსი მსახიობი არ მოხვდეს გუნში და არა ისე გამორეკა სცენაზე ყველასი, ვინც-კი შეგვხვდება, რომელთა თამაში ზიზღს ჰგვრის მაყურებელს. მსახიობებთან უფრო მტკიცედ და წინდახედულად ჰქონდე საქმე დაჭერილი, რომ შუა სეზონში არ გაუბედოს ისეთი უადგილო სიტყვების წამოსროლა, როგორც ზემოდ მოვიხსენიეთ, როლების უცოდინარობით, ან სხვა რაიმე არა პატივსადები მიზეზებით დამახინჯებული წარმოდგენის შესახებ. რეჟისორი უნდა იყოს პირ-და-პირი პასუხის მგებელი გამგეობის წინაშე, რის შედეგადაც ის იქნება, რომ რეჟისორი უფრო გულდადებით მოეკიდება თავის საქმეს. ქუთაისელი და აქაური დასის ერთად შეერთება და შეერთებულის ძალით წარმოდგენების მართვა ქუთაისშიაც და სხვა პროვინციებშიაც, ეს მით უფრო სასურველია და სასარგებლო, რომ 1) შეერთებულის ძალით უფრო კარგად, მწყობრად შეიძლება გაიმართოს წარმოდგენები, 2) გაფართოვდეს რეპერტუარის ფარგალი, 3) გაუმჯობესდება სკოლა ახალგაზდა მსახიობთათვის, 4) სამოქმედო ასპარეზი გაცილებით უფრო ვრცელი იქნება და მაშასადამე მეტი სარგებლობის მომტანი და 5), რაც ყველაზედ უფრო სასურველია, ერთ და იმავე როლზედ რამდენიმე მსახიობის ყოლა, დააფიქრებს მსახიობთაც და უფრო ენერგიულად მოაკიდებიებს საქმეზედ ხელს, თორემ თქვენი მტერია, რაც ესენი უკან, უკან იხევენ და სრულიად ხელს იღებენ შრომაზედ. ამათ დაუდევრობის მაგალითად შეგვიძლია ბენეფისებიც წამოვაყენოთ. ძვირად რომ ბენეფისზედ ანსამბლი, შედარებით მწყობრი არ იყოს: მსახიობები ყველა თავის ადგილასაა, ყველამ როლი იცის და ასე თუ ისე ხელს უწყობს საერთო ანსამბლს და ამიტომაც ბენეფისებს ჩვენს თეატრში ხალხი ერთი ორად კი არა, ერთი ათად მეტი ესწრება. რითი აიხსნება ყოველივე ეს, თუ არ იმითი, რომ აქ მსახიობს თავისი პირადი ინტერესი აქვს შიდ ჩაქსოვილი და თავდადებულად ცდილობს წარმოდგენის კარგად მოწყობას. დილიდან საღამომდის, მთელის კვირის განმავლობაში ფაცა-ფუცშია, ხშირ-ხშირად ჰმართავს „რეპეტიციებს“, როლების სწავლას სცდილობს და სხვასაც ავალებს და ამ რიგად ხან ხვეწნითა და მუდარებით, ხან ჩხუბითა და დავიდარაბით გააქვს საქმე. ისე კი ფეხეზე ჰკიდია წარმოდგენის საქმე, როლებისა შესასწავლად თავს ვინ იწუხებს, საზოგადოება ვის ახსოვს დაესწრება იგი თუ არა, ჯამაგირს მაინც მისცემენ. აი ასეთია დღევანდელი ჩვენი თეატრის გარემოება, თუ სიმართლეს ხელს არ დავაფარებთ, ამის გასწორება შეიძლება მხოლოდ მაშინ თუ გამგეობა მეტს საქმის ცოდნის უნარს გამოიჩენს და მოეკიდება იმ საქმეს, რომლის სამსახური უკისრნია მეტის სიყვარულით, გამჭრიახობით, ენერგიით და მასთან შრომასაც არ დაიზარებს. თუ მეორეს მხრით მსახიობნი შეიგნებენ თავიანთ მოვალეობას საზოგადოებისა და იმ ტაძრის წინაშე, რომლის სამსახური უკისრნიათ თავიანთ მოწოდების თანახმად, თუ უფრო პატივის ცემით და სიყვარულით მოეპყრობიან ხელოვნებას და თვისდა სამარცხვინოდ არ შებღალავენ მის საკურთხეველს. თორემ შენი მტერია, ძველი ხომ ჩამოშორდა და ჩამოშორდა, ეს ახალი საზოგადოებაც რაკი გაეცნობა, მაშინვე ზურგს შეაბრუნებს, ეხლაც ეტყობა, თუ დააკვირდით.

რ. გ—ია.

ბედის წერას ვერავინ წაუვა.

(მეფის შვილის არაკი)

„ივერიის“ 128 №-ში დიდად პატივცემული პროფესორი ა. ხახანაშვილი სურვილს აცხადებდა, რომ ზემოხსენებული არაკი დაწვრილებით ჩაეწერა ვისმეს და გამოექვეყნებინა რომელიმე გამოცემაში. ეს არაკი ჩემს ბავშობაში გამიგონია და აი ვასრულებ პატივცემულის პროფესორის სურვილს. ვწერ ისე, როგორც გამიგონია.

ერთს აღმოსავლეთის მეფეს შვილი არა ჰყავდა და ყველანი ძალიან სწუხდნენ, რომ სახელმწიფო უმემკვიდროდ რჩებოდა. დიდის ხნის ლოცვისა და ვედრების შემდეგ მეფეს მიეცა ვაჟი, რამაც დიდად გაახარა, როგორც მეფე, ისე მთელი მისი სამეფო. იმ დროის ჩვეულებისამებრ, მეფემ მოუწოდა მწიგნობართა და მეცნიერთ, რომ გამოეკვლიათ თუ რა ბედისა იქნებოდა მომავალი მეფე და ან ავიდოდა თუ არა იგი მამისეულ ტახტზე. მეცნიერებმა ბევრი იკვლიეს და შემდეგ დაადგნენ იმ აზრს, რომ მეფის შვილს ყველაფერში კარგი იღბალი ექნება: ომებშიაც მუდამ გაიმარჯვებს, შინაც ყველას ეყვარება, მხოლოდ ტახტზე ასვლამდის, ქორწილის ღამეს მოელის მას მგლისაგან სიკვდილიო. მეფეს ეოცა ამგვარი წინასწარმეტყველება მეცნიერთა და დაუსაჩუქრებელი გაუშვა იგინი. თითქმის არც სჯეროდა მათი ნათქვამი და ან რა დასაჯერი იყო, რომ მეფის შვილს მგელი მოჰკლავდა და ისიც ქორწილის დღეს? ხალხში ხმა გავარდა ამის შესახებ და მთელი სამეფო დაღონდა.

მეფის შვილი გაიზარდა და დავაჟკაცდა. მეფეს სადაც ვისთანმე ომი შეხვდებოდა, ყოველთვის ჯარის სარდლად შვილსა ნიშნავდა და ისიც, რაც უნდა ძლიერი მტერი ყოფილიყო, მაინც ყველას ამარცხებდა და ამის გამო მთელმა სამეფომ მეტად შეიყვარა იგი.

განვლო ხანმა და მოაწია დრომ, როდესაც მეფის ძეს ცოლი უნდა შეერთო. დასავლეთის მეფეს ჰყვანდა მშვენიერი ასული, რომლის დარი დედამიწაზედ არსად იყო. აი ეს ასული იქმნა მეფის ძის საცოლედ არჩეული და ჯვარის წერის დღეც დანიშნეს. მეფემ შეჰკრიბა ჯარი და დიდის ამალით წაიყვანა შვილი საქორწილოდ. მეცნიერთა წინასწარმეტყველება თითქმის ყველას დაავიწყდა, მხოლოდ მეფეს არ შორდებოდა იგი ფიქრიდგან და ამიტომ ყოველს ღონეს ხმარობდა, რათა არ გამართლებულიყო მეცნიერთა ნათქვამი. გზაში ჯვარის წერის დროს და ქორწილში მეფის ძეს მუდამ გარს ერტყა ჯარი და ყველას უკვირდა თუ რათ ფრთხილობდა ასე მეფე და ან ვინ რას ერჩოდა მეფის ძეს! მაგრამ ვინ იცოდა მეფის გულის ტანჯვა?

ქორწილის ლხინი თავდება და აგერ მოაწია მეფე-დედოფლის სამთიობოში გაყვანის დრომაც. აი გაიყვანეს კიდეც და მეფემ-კი სიფრთხილეს უმატა და მთელი ღამე გარშემო უვლიდა იმ ოთახს, სადაც მეფე-დედოფალი იყვნენ. უეცრად ოთახიდგან მოისმა ქალის კივილი. გამწარებულმა მეფემ იმ წამსვე შეამტვრია კარები და შევარდა ოთახში, მაგრამ რა დაინახა! უზარ-მაზარ მგელს შუაზე გაუფატრა მეფის შვილი და დასჯდომია... მგელი მაშინვე მოჰკლეს, მაგრამ მეფის ძეს რაღას უშველიდნენ? როდესაც დედოფალს გამოჰკითხეს თუ როგორ იყო საქმე, მან სთქვა: როდესაც ტანთ გავიხადეთ და დასაწოლად ვემზადებოდით, მეფის ძემ სანთელი გააქრო, ცხვირი მოსწმინდა და გარდააგდოვო. ის გარდაგდებული ნამწვი მგლად გარდაიქცა, ეცა მეფის ძეს და გაფატრაო.

ასე ასრულდა ბედის წერა. „კაცს რაც უწერია, შვილო, მას ვერ აიცდენსო“,—მეტყოდა ხოლმე მოხუცებული, რომლისგანაც ეს არაკი გამიგონია.

კ. შალრაძე.

ჩვენებური ამბები

სოხუმი. 24 ივნისს იყო არჩევნები ქალაქის მოურავისა და ორის წევრისა. მოურავის თანამდებობაზე დასახელებულ იქმნენ შემდეგი კანდიდატები: პროფესორი ლევშინი, ბ-ნი ტომარა (რომელიც ხმოსნად არჩევის დროს გააშავეს) და ბ-ნი ვასილ მეტაქსა. ყველა ამ დასახელებულმა პირებმა უარი განაცხადეს კენჭის ყრაზე და ამისათვის მოურავის არჩევა სეკდემბრამდის იქმნა გადადებული.

წევრებად არჩეულ იქმნენ: ეხლა მოურავის თანამდებობის აღმასრულებელი ბ-ნი კორჩიცი და ბ-ნი თედო სახოკია. უკანასკნელის არჩევას დიდის თანაგრძნობით მიეგება ყველა, ეროვნების განურჩევლად.

როგორც ვხედავთ კიდევ ბევრი თავში ცემა დასჭირდება ჩვენს საბჭოს სანამ მოურავს გამოსძებნიდეს და დიდი სიფრთხილეც მართებს, რომ თავს არ მოახვიონ ქალაქს არასასურველი პირები.

—

ახალ-სენაკი. 23 ამ თვეს, დ. ზუგდიდში თავის სახლში რევოლვერით თავი მოიკლა ცნობილმა ვაჭარმა სპ. აბესაძემ; ხოლო მეორე დღეს—აბესაძის მოსამსახურემ. ამ ამბავმა დიდად შეაწუხა, როგორც ზუგდიდელები, ისე მთელი სამეგრელოც, რადგანაც განსვენებულ აბესაძეს, დიდი სახელი ჰქონდა მოხვეჭილი დასავლეთ საქართველოში. განსვენებული იყო მტკიცე და შეურყეველი ხასიათის კაცი, ქველ-მოქმედი და თავგამოდებული ყოველ საზოგადო საქმეში. არავინ იცის რამ აიძულა ეს დინჯი ხასიათის ადამიანი, რომ სიცოცხლე ასე უცბად მოისპო. იმის სიკვდილით დ. ზუგდიდს მოაკლდა ერთი საპატიო კაცი, რომელიც ზუგდიდს მეთაურობდა ყოველ კეთილ საქმეში.

ამ ჟამად ახალ-სენაკს ცოტა ფერი მიეცა, რადგანაც პეტრე-პავლობის დღესასწაულისათვის მრავალი ხალხი იყრის თავს, როგორც სამეგრელოდან, ისე საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხიდახაც. იმართება ჭიდაობა გამოჩენილის მოჭიდავე ნესტორ ესებუასი. ქუთათური ქართულ სცენის მოყვარენი წარმოდგენებსა მართავენ.

29 ივნისს, მარულა (დოლი) იქნება. ერთის სიტყვით, ახალ-სენაკი დიდს ამბებშია, თუ მაგარი სასმელები ეყო. ლუდ-ლიმონადები, ხომ იყიდება და იყიდება! სწორედ კუჭის „იარმუკაა“ და არა ხამდვილ „იარმუკა!“ აბა ვნახოთ, რითი გათავდება ეს „კუჭის იარმუკობა!“

ტელეფონი.

რუსეთი

უმაღლესი ბრძანებით ფინლიანდიაში სახელმწიფო ფოსტების სამსახურში დანიშვნა და გადაყენება იმპერიაში არსებულ საპოლიციო წესების უნდა დაუქვემდებარონ. რადგან ფინლიანდიის ადმინისტრატიული ორგანიზაცია მთელი საუკუნოების განმავლობაში განვითარდა და გამტკიცდა, ფინლიანდიის სენატმა შემდეგი აზრი გამოსთქვა ახალი წესის შესახებ. არ შეიძლება ლენსმანების და ფოსტების თანამდებობა მხოლოდ საპოლიციო თანამდებობად ვიცნოთ, პოლიცია—ადმინისტრატიული თანამდებობაა, რადგან საპოლიციო მოვალეობათა გარდა, ეს მოხელენი სხვა საქმეებსაც ასრულებენ. ამიტომ ფინლიანდიის სენატმა შუამდგომლობა აღძრა ხელმწიფე იმპერატორის წინაშე, რათა ფინლიანდიაში ფოსტების დანიშვნის შესახებ ძველი წესები დარჩეს.

ხელმწიფე იმპერატორმა უარჰყო ფინლიანდიის სენატის შუამდგომლობა.

— „ფინლიანდიის გაზეთში“ დაბეჭდილია: ფინლიანდიაში დღეს შეუწყვეტელად სწარმოებს ფარული პოლიტიკური მოძრაობა, პროპაგანდა ეგრედ წოდებულ „ძალდაუტანებით წინააღმდეგობის“ მომხრეთა. ამიტომ საჭიროა ყოველნაირი საშუალება იქმნას ხმარებული საზოგადო მშვიდობიანობისა და წესიერების დასაცველად, რომლისგან უმთავრესად არის დამოკიდებული ფინლიანდიის ხალხის კეთილ-დღეობა. დღეს განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს მთავრობა პოლიციის ზედამხედველობის გამტკიცებას, პოლიციელთა ქონებრივ მდგომარეობის გაუმჯობესობას და მათი სამსახურის განწესრიგებას.

— „Юж. Т.“-ში სწერია: რომ სამხედრო მინისტრმა ნება დართო როსტოვში ელექტრონის ტრამვაის გაყვანაზე, პირობით დასდო რომ პასუხის მგებელ აგენტებს შორის არ უნდა ეყოლიყო არც ერთი ებრაელთა სჯულის მიმდევარი, ტრამვაიზე მოსამსახურენიც უნდა იყვნენ რუსეთის ქვეშევრდომნი და არა ებრაელები. იმის გამოსარკვევად, თუ როგორ სრულდება ეს განკარგულება რკინის გზის ადმინისტრაციისაგან, ქალაქის გამგეობა სთხოვს ტრამვაის დირექტორს წარუდგინოს მოსამსახურეთა სია მათი სარწმუნოების და ეროვნების აღნიშვნით.

— როსტოვის ქალაქის ექიმი აცხადებს შემდეგს: „ქალაქის თავშესაფარის დაკეტვის შემდეგ ასიოდე ორივე სქესის „ბასიაკები“ შეგროვდნენ ერთ მინდორზე, სადაც გააკეთეს ჩვრისაგან კარავები. რასაკვირველი, ეს კარავები ვერაფერი დამცველია ავდრისაგან, და მართლაც თორმეტ ივნისს, ღამით, წვიმის შემდეგ მე ვინახულე ისინი, სცოდავეთ ამოწუწუმპულები და სიცივისაგან დაკრუნჩხულები და სხვ. ეს განცხადება ნათლად გვიჩვენებს, თუ რამდენათ შეუძლია იზრუნოს დღევანდელმა ქალაქის თვითმართველობამ ღარიბ უბინაო ხალხისათვის.

უცხოეთი

საფრანგეთი. პარიჟში ივნისის 14-ს დიდი ამბავი ასტეხა ყოფილ მინისტრ-პრეზიდენტ ვალდეკ-რუსოს მიერ სენატში წარმოთქმულმა სიტყვამ, რომელშიაც კონგრეგაციათა 1901 წ. კანონის გამო ორატორმა გაჰკიცხა საზოგადოდ ეხლანდელ მთავრობისა და კერძოდ მინისტრ-პრეზიდენტ კომბის მოქმედება. სხვათა შორის ვალდეკ-რუსსომ განაცხადა:

„მართალია, ყოველი კანონი უნდა განვახორციელოდ და ვაიძულოთ ყველანი, რომ მათ პატივისცემით მოეპყრან, მაგრამ ეს ისე უნდა ხდებოდეს, რომ არც თვით-მმართველობის უპირატესობა შემცირდეს და არც უმთავრეს საბჭოთა უფლებანი შეილახოს.

1901 წლის კანონს განსაზღვრული, შემოფარგლული აზრი ჰქონდა. როგორცა სჩანს, ამას ეხლა ყურადღებას არ აქცევენ.

1901 წლის კანონიდგან ისეთ შედეგის გამოყვანა მოინდომეს, რომლისთვისაც იგი არ ყოფილა შექმნილი. მოიწადინეს ყოველის გზით იმ საკითხთა გარდაწყვეტა, რომელნიც სკოლებში სწავლების კანონს ეხება.

შეუძლებელია რამდენიმე თვის განმავლობაში გარდაქმნა იმ კანონისა, რომლის შექმნასაც 35 წლის მეცადინეობა დასჭირდა და რომელიც მეტად ახლო ეხება 75,000 კაცის ინტერესს.

არ უნდა დაჰვიწყებოდათ აგრეთვე ფინანსიური მხარე ამ საქმისა.

სასულიერო სკოლათა მაგიერ საერო სკოლათა დაარსებას 110 მილიონი ფრანკი სჭირდება. გარდა ამისა მთავრობა პასუხის მგებელია მრავალ სხვა სამძიმო საქმეშიაც.

რაც შეეხება სასულიერო კონგრეგაციათა თხოვნების განხილვას (საფრანგეთში დარჩენის შესახებ), თავდაპირველად მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე (კომბი) სწორედ იმ აზრისავე იყო, როგორისაც მე: სამართლიანად მიაჩნდა, რომ ყოველი თხოვნა სათითაოდ განხილულიყო. მაგრამ კომისიის წინააღმდეგმა აზრმა გაიმარჯვა, გაჰყო ყველა თხოვნები სამ რიგად, ჩააწყო სამ ტომარაში, მოუკრა თავი, დაბეჭდა და სამ მოკლე ეკზეკუციით აუგო წესი (სიცილი).

მთავრობამ მოიწონა ეს წესი. პალატაც მთავრობას აჰყვა. აი, როგორ აღიძრა უმთავრესნი დაბრკოლებანი. (გაკვირვებით: „საუხოვოა!“).

აღმოჩნდა, რომ მთავრობა ჩაიტყუეს ომში, რომელიც დღითი-დღე უფრო და უფრო მწვავდება.

მთავრობას უნდა ვუსაყვედურო, რომ მეტი მხნეობა, არ გამოიჩინა რადგან საჭირო იყო დიდის მოთმინებითა და ზომიერებით გაყვანა ამ კანონისა (ტაში ცენტრში).

მართალია ზოგიერთი კონგრეგაცია, პოლიტიკოსი და შეუპოვარი, თავის რევოლიუციონურ საქციელი იწვევს მათდა მიმართ სასტიკ ღონის-ძიებას, მაგრამ ეს შეუპოვარი კონგრეგაციები არხეინად ბრძანდებიან, მშვიდი და მორჩილი კონგრეგაციები-კი გაუკანასკნელებული შეიქნენ.

„ან სულ, ან არაფერი“-ს პოლიტიკის მომხრეთ შეუძლიანთ ეხლა დასტკბენ თავის ნამოქმედარით!

როდესაც 1901 წლის კანონი შემოვიღეთ, ჩვენ განზრახვა არა გვქონია ერთბაშად გადაგვეწყვიტა ყველა საკითხნი სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის შესახებ, რომელნიც აღმოჩნდებოდნენ ისეთ ძველს სახელმწიფოში, როგორიცაა საფრანგეთი.

ჩვენ გვსურდა მხოლოდ აღგვედგინა მოქალაქეთა უფლებანი და მიგვენიჭებინა მათთვის კარგა დიდი ნაწილი მისა, რაც კარგა ხანია ძალადობით ჩამორთმეული ჰქონდათ.

სარწმუნოებრივ პოლიტიკის პრობლემის გარდაწყვეტა ისეთი ხალხისა, როგორც ჩვენა ვართ, ისეთი საქმეა, რომელსაც დიდი დრო სჭირდება. ეს საკითხი კიდევ დიდ ხანს დარჩება გარდაუწყვეტელი.

პოლ ბერმა თავის 1882 წლის ანგარიშში იწინასწარმეტყველა:

„საფრანგეთის რესპუბლიკა ჩრდილო-ამერიკის შეერთებული შტატები როდია, რაც ატლანტის ოკეანეს გაღმა ადვილ საქმედ

კაზმულობით, ისე ძვირფასის სასმელებითა და საჭმელებით. მოსამსახურეები დარეტიანებულივით დარბოდნენ წინ და უკან. მასპინძლები თავაზიანად სთხოვდენ ყველას.

— აი, აქეთ მობძანდით...

— თქვენ, აი აქ, ჩემთან...

— თქვენ აქ...

— დაბრძანდით, დაბრძანდით!..

— თქვენ აქ უფრო ისიამოვნებთ...

— აბა, ბატონებო,—მიჰმართა ალექსანდრემ დანარჩენებს, როცა ყველა საპატიო პირები დააბინავა,—გთხოვთ, გთხოვთ დაბრძანდით, დაბრძანდით... ჰო... ანგრე... ეხლა გთხოვთ ყველას იმხიარულოთ და მიირთვათ, რაც ღმერთმა მოგვანიჭა. ყმაწვილებს ვდებ ვალად შესთავაზონ და არ მოაწყინონ ქალები.

ყველამ თავ-თავისი ადგილი დაიჭირა ასტყდა თეფშებისა და დანა-ჩანგლის რახა-რუხი. ყველა სცდილობდა სხვა-და-სხვა საჭმელებისა და სასმელების შეთავაზებას. მხიარულება ერთს წამს შესწყდა. ყველა რაღაცა უხერხულობასა ჰგრძნობდა, თითქო ჭამისა რცხვენიათო. მოურავი იდგა ფეხზედ შუა ადგილას, კისერი წაეგრძელებინა, თვალს ადევნებდა სუფრას და აძლევდა სხვა-და-სხვა ბრძანებას მოსამსახურეებს. თეფშებს სწრაფად ალაგებდნენ, საჭმელები შემოჰქონდათ და გაჰქონდათ. მხიარულობა თან-და-თან მატულობდა. მასპინძელმა აივსო ჭიქა ღვინით, წამოდგა ზეზე და ხმა მაღლა თავის სტუმრებს მიჰმართა მხიარულად.

— ბატონებო... არაფერი კრება, არაფერი საქმე არ ვარგა თუ თავში არა ჰყავს უფროსი, გამგებელი. იმან უნდა დაიცვას წეს-რიგი, მისცეს თადარიგი, იმას უნდა ემორჩილებოდეს საქმეც და საქმის მკეთებელიც. ამიტომ მე ვითხოვ ავირჩიოთ უფროსი, გამგებელი ჩვენი სუფრისა და ჩავაბაროთ მას ჩვენი რთული საქმეც და ჩვენი თავიც. გირჩევთ აირჩიოთ თამადად ჩვენი საყვარელი და პატივსაცემი, ჩემი ძმა და მეგობარი,—ამ სიტყვაზე ალექსანდრე მიუბრუნდა და მიუჟღარუნა ჭიქა მის გვერდზე მჯდომს ჩასუქებულს და ბრჭყვიალა სახის სტუმარს.

სუფრაზე ჩოჩქოლი შეიქმნა.

— გთხოვთ, გთხოვთ...

— ღმერთმა გაცოცხლოთ...

— მოგვილოცავს ტოლუმბაშობა...

სქელი სტუმარი წამოდგა გაჭირვებით.

— ბატონებო,— წარმოსთქვა მან დაღვრემილის სახით,—მე არ შემიძლია მივიღო ეს თანამდებობა, რადგან არ ვიცი ჩვენს მასპინძელს ბევრი ღვინო აქვს თუ არა, და არ ვიცი, ღვინის სმა სად დავიწყო და სად გავჩერდე. რადგან მასპინძელმა კარგად იცის თავისი მარნის გარემოება, მე გთხოვთ, რომ, ვინ იცის, არ შერცხვეს ჩვენთან და ისევ მასპინძელი ამოვირჩიოთ!

ყველას გაეცინა, გაეცინა მასპინძელსაც.

— ჩემო სიცოცხლევ, ჩემს მარანში რომ შეიხედო, რვა სავსე ღვინით ქვევრსა ნახავ, სადაც შეგიძლიან ჩახვიდე და, თუ გინდა, შიგ ყირამალა გადახვიდე!..

კიდევ ყველას გაეცინა.

— მაშ თანახმა ვარ,—გაიღიმა ახლად ამორჩეულმა თამადამ,—მადლობა მომიხსენებია,—დაუკრა ყველას თავი, გადაჰკრა ჭიქა, ისევ აივსო და დაუმატა,—აბა გაივსეთ ჭიქები!.. ბატონებო, უწინ ჩვენი მამა-პაპა განთქმული იყო პურადობით და სტუმართ-მოყვარეობით. ეს იყო იმათი წმიდათა-წმიდა და ამ შემთხვევაში მათ არა ერი წინ ვერ წაუდგებოდა. სტუმარი მათთვის იყო საყვარელი, სანატრელი. იმათთვის სცხოვრობდნენ, რაც ჰქონდათ იმათთვის ჰქონდათ. დღეს ეს გულ და ხელგაშლილობა, ეს სტუმართ „მოყვარეობა“, თან-დათან ჰქრება ჩვენში და, როგორც ვატყობ, მალეც გაჰქრება. ცივლიზაციას რომ ეძახიან, იმან დაგვიჩაგრა ეს გრძნობა და გვასწავლა ჩვენ განმარტოებით ცხოვრება, სმა-ჭამა და დროს გატარება. ეს მოვლენა, ძალიან სამწუხარო და არა სასურველი, გვაძლევს ჩვენ შეძლებას მეტად დავაფასოთ, პატივი ვსცეთ და მეტის ქების ღირსად ვცნოთ ის ოჯახი, სადაც ჩვენ დღეს ვსიამოვნობთ და დროს ვატარებთ...

აქ ხმაურობა ასტყდა, თამადამ ხმას მოუმატა.

— ეს ოჯახი, ისეთი ოჯახი... მაგრამ ყურს არავინ უგდებდა, სუფრა აირ-დაირია, ყველა თავის თავს მოვალედა სთვლიდა მისულიყო მასპინძლებთან, ჭიქა მიეჟღარუნებინა და ისე დაელია მათი სადღეგრძელო.

ბედნიერი მასპინძლები ტკბილად იღიმებოდნენ.

(შემდეგი იქნება)

სვ. ყიფიანი.

მიაჩნიათ, აქ დიდ წინააღმდეგობასა და რისხვას იწვევს. ყველაზედ უარესი ოცნება ისაა, როცა ჰგონიათ, რომ ყველაფრის მოწყობა ერთ დღეს შეიძლებაო“.

ნუ გვინდა წინ გასწრება იმ მიზნისა, რომელიც 1901 წელს ავირჩიეთ.

თქვენ შეგიძლიანთ გაჰფანტოთ ბერნი-ლი გერნი, ბერნი მომქმედნი, შეგიძლიანთ მოიშოროთ თავიდგან ვეება ურდო, რომელიც ზედ დაჰკდომია ჩვენს საზოგადოებას, — და მთელი ქვეყანა თანაგრძნობით მოგეგებებათ; მაგრამ, სანამ დარბევის ბრძანებას გასცემდით, რასაც თქვენ საჭიროდ მრაცხდით, უნდა დაგესახელებინათ მიზეზნი ამ გვარ განაჩენთა დადგენისა.

დიდხანს ვეწინააღმდეგე „კარ-დახშულ„ სამხედრო სასამართლოს, და არ შემიძლიან ეხლა დამშვიდებით ვუყურო „კარ-დახშულ“ კომისიას (ალტაცებული ტაში).

ამ პირველ შეტაკების შემდეგ მოსალოდნელია კომბის წინააღმდეგ გალაშქრება ყოფილ მინისტრ-პრეზიდენტ ვალდეკ-რუსსოსი, რომელიც, ეტყობა, სცდილობს ისევ დაუბრუნდეს მთავრობას.

ბულგარია. ბულგარიის მინისტრნი ოსმალ-ბულგართა განწყობილებაზე სულ სხვა-და-სხვა აზრისანი არიან. მინისტრ-პრეზიდენტი გენერალი პეტროვი არ ეთანხმება სამხედრო მინისტრს, რომელიც საქმეთა ვითარებას უფრო კეთილ-საიმედოდ ჰრაცხს. ეხლახან სამხედრო მინისტრს უთქვამს „ვეჩნრნ. პოჩტ.“-ის თანამშრომლისათვის: „ჩვენ არასოდეს არ დავესხმით თავს ოსმალოთ და არც იგინი შემოგვესევიან. ბრძოლის მაგიერ ჩვენ ერთმანეთს ძმურად ხელს გადავხვევთ და ერთად წავალთ მესამე საერთო მტრის წინააღმდეგ. ბულგარ-ოსმალეთის ომი ჩვენ ორთავეს დაგვღუპავს. ჩვენი მამულიშვილური გრძნობა არასოდეს ნებას არ მოგვცემს ხელი შევუწყოთ 280,000 ბულგართა და 300,000 ოსმალთაგან ერთმანეთის შეჯახებასა და მუსრის გავლებას და მარიცის ხეობის სისხლით გაპოხიერებას სასიხარულოთ გერმანელ ახალშენთა და სხვა ყვავ-ყორანთა სასარგებლოდ, რომელნიც კბილების კაწკაწით ელოდებიან ჩვენს დაღუპვას. ხონთქარსაც მიჩენილნი ჰყვანან და აქეზებენ საომრად, მაგრამ იგი ბრძენი მმართველია ოსმალეთისა და მისი შორსგამჭვრეტი თვალი კარგადა ჰხედავს, რასაც უქადის უცხოელთა ინტრიგები. იგი არასოდეს არ მოისურვებს მაკედონიის დაღუპვას და ისეთ უფლებებს მიანიჭებს მაკედონელთ, რომელნიც სარეფორმო პროექტშიაც არაა მოთავსებული. მაგრამ თუ სტამბოლის კარზე გაჰბედეს და რევოლიუცია მოახდინეს ხონთქრის დასამხობად, მაშინ ჩვენი ჯარი სტამბოლს მივა და ოსმალეთს ტახტზედ აიყვანს ბურხან-ედდინს (აბდულ-ჰამიდის საყვარელ შვილს) და საბოლოოდ მოსპობს რეშად-ბეის ინტრიგებს (ძმა და კანონიერი მემკვიდრე ხონთქრისა), რომელიც ბულგარიასთან ომის ატეხით ჰლამობს ოსმალეთის ტახტზედ დამკვიდრებასაო“.

გერმანელ ახალშენთ ბულგარიის მინისტრნი, როგორღაც პირველად ახსენებენ. პოლკოვნიკს სავოვს ომი ვერაფერ სასიკეთოდ მიაჩნია ბულგარიისა და ოსმალეთისათვის. ხონთქარიცა ჰგრძნობს ომის უსარგებლობას თუნდა იგი ოსმალთა გამარჯვებითაც დასრულდეს; დამარცხებამ-კი იქნება ოტომანის იმპერიას ბოლო მოუღოს.

ჩინეთი. „ვოსტოჩნ. ვესტ.“-ის სიტყვით პეკინში მყოფი უცხოელთა საელჩოები თავის დასაცავად ემზადებიან. საელჩო სახლები უფრო შეიარაღებულ ციხე-სიმაგრეებს მოგაგონებს. სურსათს დიდის სიჩქარით ამზადებენ. საელჩოს წევრნი დიდის სიფრთხილით გამოდიან სახლიდან. დარაჯთა რიცხვი გაორკეცებულია და მიღებულია ყოველგვარი სიფრთხილე თავის დასაცავად. ევროპის მთავრობათა მიერ მიღებული ცნობანი ძალიან საშიში ხასიათისაა. ჩინელებს აფერხებს მხოლოდ შიში უცხოელთა საერთო მოქმედებისა. დანამდვილებით იციან, რომ პეკინში მყოფ ამერიკის სიელჩომ გამოითხოვა ვაშინგტონიდან საშველი ჯარი. ხალხი ისეა აღელვებული, რომ აჯანყება ყოველ წუთს მოსალოდნელია. სხვა საელჩოები ამ ამბებს ჰფარავენ, მაგრამ ეჭვი არაა, რომ ისინიც აცნობებდნენ თავიანთ მთავრობებს განსაცდელის მოახლოვებას.

ნარკვევი

სამხედრო საექიმო აკადემიის პრივატდოცენტია კვლავ შესდგომია კაბის და სარკომას შესწავლას და აგერ რამდენიმე წელიწადია, შეუჩერებლივ მუშაობს. ამ მუშაობის შედეგი ისაა, რომ მან აღმოაჩინა ადამიანის სიმსივნეში პრაზიტები. 1898 წელს ის გაემგზავრა პარიჟში და ორი წლის განმავლობაში მუშაობდა პასტერის ინსტიტუტში. აქ მან მოახდინა ცდა ხუთასამდე ცხოველზე. პრაზიტების კულტურით იმან გამოიწვია ცხოველების დაავადმყოფება. ცხოველს მაშინვე უჩნდებოდა სიმსივნე, უსივდებოდა ლიმფატიური ჯირკვლები და ჩქარა კვდებოდა სხეულის საზოგადო დასუსტების გამო. დაავადმყოფებულ ცხოველების სიმსივნე ძალიან წააგავდა ადამიანის სიმსივნეს.

გარდა ამისა მან გამოიწვია ბატის და ვირის იმუნიტეტი, ესე იგი ეს ცხოველები უზრუნველ ჰყო ხსენებულ სენისაგან.

ამნაირათ ის დარწმუნდა, რომ მის მიერ აღმოჩენილი შრატი უვნებელია ადამიანისათვის და მიჰყო ხელი ადამიანის ექიმობას. ამ ექიმობასაც მეტად კეთილი შედეგი მოჰყვა. მისი შრატით დღემდის სამასამდე კაცი მოარჩინეს.

ამ ბოლო დროს ერთობ გამრავლდნენ რუსეთში ეგრეð წოდებული პლაგიატორები, ლიტერატორი ქურდები, რომლებიც სხვის ნაწერებს თავისი სახელით ბეჭდავენ. ერთი ამისთანა მოხერხებული პლაგიატორი ამას წინად გაზ. „ნოვ.“-მა გამოამჟღავნა. იგი ტარას იოსების ძე კარია გვარად. მას მოუტყუებია ჟურნალ „სევერ“-ის რედაქტორ-გამომცემელი მერცი: მიუყიდნია მისთვის რომანი „ბედნიერების ძებნა“, რომელიც მხოლოდ სათაურ-შეცვლილი ხრუშჩოვ-სოკოლნიკის რომანი გამოდგა, — და სახელად „დევგმირი“. რუსეთის ცნობილ მწერალს მორდოვცევს მოჰპარა ვიღაც ივანე გორდიკმა ერთი მის ნაწერთაგანი და თავისი სახელით გაჰყიდა. ამავე პლაგიატორმა მეორე რუსეთის მწერალი იასინსკი გაჰქურდა; მოთხრობა მოჰპარა და თავისი სახელით დაბეჭდა ჟურნალ „ნივა“-ში.

ამას წინად დაიბეჭდა ამ პლაგიატორის ძმის ი. გ. გორდიკის მოთხრობათა კრებული. ეს ვითომდა ძმა ჩიოდა საქვეყნოდ, მკვიდრმა ძმამ გამქურდა და დამღუპაო. გამოდგა რომ ქურდ-პლაგიატორ გორდიკს თავად გამოუცია ეს მოთხრობათა კრებული თავისი ძმის სახელით. აი რანაირი საოცარი მიხვეულ-მოხვეული გზები გაიკაფეს ცხოვრებაში ბნელეთის მოციქულებმა. მათ ურცხვობას საზღვარი არა აქვს, პირველი ჩადენილი სისაძაგლე თითქო მოსამზადებელი კლასია მათთვის ცხოვრებაში, რომლის შემდეგ ურცხვობის უმაღლეს კლასში გადადიან.

უცხოეთის გაზეთებში მოთავსებულია ცნობა იმის შესახებ, თუ რამდენი სტუდენტი ითვლება დღეს გერმანიის უმაღლესს სასწავლებლებში, სულ 37,813 სტუდენტი ყოფილა, რომელნიც ასე განაწილდებიან ფაკულტეტების მიხედვით: იურისტები—11,352 ფილოლოგები და ისტორიკოსები—6,983, ექიმები—6,204, მათემატიკოსები და ბუნების მეტყველნი—5,849, ღვთის მეტყველნი—3,787, ფარმაცევტები—1,103.

ამ დღეებში დეპეშამ ამბავი მოგვიტანა იმის შესახებ, რომ „Нов. Вр.“-ში დაბეჭდილია წერილი პეტერბურგის მიტროპოლიტ ანტონისა „მართლ-მადიდებელ ეკკლესიის მებრძოლ კავშირის“ მიერ გავრცელებულ ცნობების წინააღმდეგო. აი მიტროპოლიტ ანტონის წერილი, ზემოხსენებულ გაზეთში დაბეჭდილი, ამ სათაურით: „საჭირო განმარტება“.

„ამ სამი კვირის წინად პეტერბურგში ძლიერ გავრცელდა ჰექტოგრაფიით დაბეჭდილი ფურცლები, რომლიდაც „მართლმადიდებელ ეკკლესიასთან მებრძოლ კავშირისა“, რომლიც მავნებელია რუსეთის ხალხის კეთილდღეობისათვის. ამასთანავე აღნიშნულია, რომ „კავშირი თავის წმინდა და ჭეშმარიტ მოვალეობად სთვლის მიიღოს შრომა თავის თავზედ და ჩააგონოს რუსეთის ხალხს, რომ სერაფიმე საროვსკის წმ. ნაწილები არ დარჩება, თუ საჭიროება მოითხოვს, კუბოში გაუხრწნელი და გამოუკვლეველი“.

„არ ვიცი, არსებობს თუ არა ამნაირი მართლმადიდებლობასთან მებრძოლი კავშირი; ეს ფურცლები-კი გონივრული მეცადინეობის ნაყოფია, რომელიმე არეულობის მოყვარულ ვაჟბატონისა; ფურცლები იმდენად ძლიერ გავრცელდა, რომ თავისდა უნებურად აალაპარაკა მთელი პეტერბურგის საზოგადოება და, შესაძლებელია, პროვინცია და მივარდნილი ყრუ ადგილიც, თუ-კი იქაც გავრცელდეს ამნაირი უკუღმართო ფურცლები. ამ ფურცლებში რომ მხოლოდ „კავშირის“ დაარსება ყოფილიყო გამოქვეყნებული, მის შესახებ ლაპარაკიც-კი არა ღირდა. დამტკიცება იმისი, რომ მართლმადიდებლობა რუსეთის ხალხის კეთილდღეობისათვის მავნებელიაო, როგორც ამას კავშირი ამბობს, ნიშნავს სრულს ბრიყვობა-გაუზრდელობასა და რუსეთის ისტორიის სრულებით გაუგებლობას. ამ ფურცლებში რიხით ეხებიან წმიდა სერაფიმე ბერის საქმეებს, არა სასიამოვნოდ იხსენიებენ მას და მისს წმიდა კუბოს ნიშნს უგებენ, და ყველა ამას „თავის წმინდა და ჭეშმარიტ მოვალეობად სთვლიან“, თითქოს აქ ვინმეს ჭეშმარიტება შეებღალოს! როგორც უფალმა არ განსამართლა ურწმუნო თომა თავისი ურწმუნოებისათვის, არც მე შევუდგები მათ რიხიანობის განსამართლებას. სერაფიმე ბერის შესახებ მორწმუნე და განათლებულ ხალხშიაც-კი დადის ბუნდოვანი ხმები და საკითხს: „რა არის კუბოში?“, ეჭვის თვალით უცქერიან. ამ უაზრო ეჭვის ახსნა-განმარტებას არ შევუდგები; ვუპასუხებ მხოლოდ პირდაპირ ამ საკითხს — „რა არის კუბოში?“ კუბოში. ნათლად აღმოჩნდა განსვენებულ ბერის ტანისამოსის ნაწილები. სხეული გახრწნილა, ხოლო ძვლები, თმა და წვერები სრულიად უვნებლად შენახულა. ასეთია კუბოს მდგომარეობა...

„პროფესორი ე. გოლუბინსკი სამართლიანად ამბობს: „არიან ჩვენში ადამიანები, რომელნიც ღმერთსაც-კი ეჭვის თვალით უცქერიანო, მაგრამ ჭკუა-გონებით-კი არ მოსდით ეს; ესენი ამტკიცებენ, ვითომც წმიდა ნაწილები, თუ ნამდვილად წმიდაა, ყოველთვის გაუხრწნელი უნდა იყოსო, ე. ი. სრულიად მთელი, ხელშეუხებელი და სხეულს ერთი ბეწვა ზიანიც-კი არ უნდა ჰქონდესო.“ ამ ნაირი მტკიცება უაზროა და ძირითადად ეწინააღმდეგება საეკკლესიო მცნებას, რომლითაც გაუხრწნელი ნაწილები სრულებითაც არ ითვლება საზოგადო და უთუო ნიშნად წმიდა სათნოთა სადიდებლად...

„წმიდათა წმიდანობის დასამტკიცებლად ისინი ან თვით ახდენენ საკვირველებას კუბოში და ან მათი ნაწილები, სულ ერთია, მთელი სხეული იქნება ის თუ მხოლოდ ძვლები. როდესაც წმ. ნაწილები გაუხრწნელია, ეს საკვირველების მოხდენაა, მაგრამ დამატება იმ საკვირველებასთან, რომლიც მათი შემწეობით ხდება ხოლმე (იხ. ამის შესახებ ვრცელი გამოკვლევა „Церковныя Вѣдом.“-ში № 12 1903 წ. ამ სათაურით: „უხრწნელი წმ. ნაწილები“). სერაფიმე ბერის წმიდანობა მისი ნეშთის თვისებაში-კი არ გამოიხატება, არამედ მისდამი ხალხის რწმენაში და ამის მიერ მოხდენილ მრავალ საკვირველ მოქმედებაში, რომელნიც, როგორც გამოკვლევამ აღმოაჩინა, ყოველსავე ეჭვს გარეშეა და ყოვლად სარწმუნო...

„წმიდა კაცისათვის ყოველივე წმიდაა და საკვირველ მომქმედი, თითქმის აჩრდილიცა და ტანისამოსიც-კი, და არა მხოლოდ სხეული ანუ ძვლები. მაგალითად: აჩრდილი პეტრე მოციქულისა და თავსაკრავი პავლე მოციქულისა ავადმყოფთ ჰკურნავდა; ელისე წინასწარმეტყველის ძვლების შეხებით მკვდარი აღსდგა; წმიდა კაცის ფეხით შედგომით უსულო გვამი მთელს ძალ-ღონეს იკრებდა... წმიდა სერაფიმეს სხეულის ნეშთი ძვლებითურთ მორწმუნეთათვის უძვირფასესი წმიდათა-წმიდაა, ჭეშმარიტი საუნჯეა, რომლის მხნეობითაც მათ არ მოაკლდებათ მისი განმკურნებელი შველა.

„ამგვარად, სერაფიმე ბერისა კუბოში დარჩა მხოლოდ ძვლები, სხეულის ნაშთი, მაგრამ, როგორც ღვთის სათნო ადამიანის, წმიდა კაცის ნეშთი, ისინი ითვლებიან წმიდა ნაწილებად და აწ დიდის ამბითა და კურთხევით გადატანილი იქმნება მიწის გულიდგან მოწიწებითა და პატივისცემით მლოცველთა და დამსწრეთაგან და მიწას მიბარებულ მისს, ღირსის სერაფიმე ბერის სამლოცველოში.

მიტროპოლიტი ანტონი.

ს.-პეტერბურგი, ივნისის 20, 1903 წ.“

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

26 თიბათვე.

ალდერშოტი. ლუბე დაესწრო მხედართა აღლუმზედ, სადაც მონაწილეობას იღებდა 16,000 კაცი.

ბუდაპეშტი. სამხედრო კომისიაში მინისტრმა კოლოსვარიმ განაცხადა, რომ სამხედრო ბეგარის ახალ კანონში შემოღებულია ორის წლის ვადა, მხოლოდ ცხენოსან რაზმში სამსახურისათვის, ცხენოსან არტილერიისათვის დარჩა სამი წლის ვადა. ფლოტის სამსახურის ვადა არ იქმნება ოთხი წლიდან სამ წლამდე დაკლებული.

მოსკოვი. უცხოეთიდან დაბრუნებულმა პროფესორმა ცვეტაევმა მოახსენა იმპერატორ ალექსანდრე III-ს მუზეის კომიტეტს კრებაზედ, რომ ვატიკანში განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს მისათვის დავალებულ საქმეს. — სემინარიასთან გაიხსნა კურსები სამრევლო სკოლების მასწავლებელ ვაჟებისა და ქალებისა ოც-და-ათის გუბერნიისა.

ათინა. რალლის მიენდო კაბინეთის შედგენა.

რომი. ბიულეტენი დილის 9-ნახევარ ს. „ღამემ მშვიდობიანად ჩაიარა. ფილტვების მდგომარეობა უკეთესობაშია. საზოგადო მდგომარეობა ავადმყოფ რომის პაპისა უკეთესობაში მიდის“.

ლონდონი. ლუბე მივიდა ბუკინჰამის სასახლეში, სადაც მის პატივსაცემლად მეფე-დედოფალმა მეჯლისი გამართეს. ლუბემ და დედოფალმა მკლავ-გაყრით შემოიარეს მოკაზმული დარბაზები.

სტამბოლი. პორტამ აცნობა რუსეთისა და ავსტრია-უნგრეთის დესპანებს, რომ ხილმი-ფაშის მოხსენებისამებრ გამოძიება ყოველთვის ამტკიცებს ხოლმე, რომ მაკედონიის სარევოლიუციო მოძრაობის სათავე ბულგარიაშიაო, და ამისთვის პორტა სთხოვს დესპანებს, იშუამდგომლონ თავიანთ მთავრობის წინაშე, რომ ჯეროვანის ჩაგონებით აიძულონ სოფიის მთავრობა. დიპლომატიურ წრეებში ჰგონიათ, რომ საქმეების ეხლანდელ მდგომარეობისაგან სახიფათო მოსალოდნელი არა არის-რა. საქმე უფრო გაძნელდებოდა იმ შემთხვევაში, რომ ბულგარიის ეხლანდელი კაბინეთი სამსახურიდგან გადადგეს.

27 ივნისი.

ეკატერინოსლავი. ნოვომოსკოვის ერობა მართავს ივლისში პირუტყვთა გამოფენას.

ლონდონი. ლუბე გაემგზავრა 8 ს. 35 წ. რკინის გზის სადგურამდე გააცილა მეფემ, უელსის პრინცმა, კონნოუტის ჰერცოგმა და მრავალმა მინისტრმა. გასცილდა რა დუვრს, ლუბემ მეფეს სამადლობელი დეპეშა გაუგზავნა იმ გულმხურვალე მიღებისათვის, რომლითაც მას ინგლისში დაუხვდნენ, როგორც საფრანგეთის წარმომადგენელს.

რომი. „კაპიტოლი“ იუწყება: საფრანგეთისა და იტალიის მთავრობანი დარწმუნდნენ, რომ თუ ვინიცობაა პაპა გარდაიცვალა, მეფის მოგზაურობა გადადებულ იქმნებაო. მოგზაურობა, ალბად, სექტემბერში მოხდება.

ბიულეტენი. დილის 6 საათი: „საზოგადო მდგომარეობა ავადმყოფის ჯანმრთელობისა ცუდია; კრებულთა ბჭობა მოხდა. გულის მოძრაობა ცუდი აქვს. საზოგადოდ პაპის მდგომარეობა საშიშია“.

სტამბოლი. ოფიციალური ცნობა, დღევანდელ ოსმალურს გაზეთებში დაბეჭდილი, იუწყება, რომ ბირჟაზედ ხმა გაავრცელეს, ოსმალეთის ჯარის ბულგარიისაკენ გაგზავნის შესახებო. ეს ხმა მოკლებულია ყოველსავე საფუძველს, რადგანაც ბულგარიას აღელვების გამომწვევი არა მოუხდენია-რა ოსმალეთის მთავრობის წინააღმდეგ, რომ ამ უკანასკნელს მხედრობისათვის თავი მოეყარა და ზომები მიეღო. აქ ხმები დადის, რომ პორტამ ომი გამოუცხადა ბულგარიასო, მაგრამ ოსმალთა ოფიციალურ სფერაში გადაჭრით უარჰყოფენ ამ ხმების სიმართლეს.

ბელგრადი. „Бѣлградске Новине“-ს ატყობინებენ, რომ ცინცარ მარკოვიჩის სამინისტროს შინაგან საქმეთა მინისტრად ნამყოფს თეოდოროვიჩის, რომელიც უძიმედ დაიჭრა 29 მაისის ღამეს, განზრახვა აქვს სასამართლოში საჩივარი აღძრას იმ პირთა წინააღმდეგ, რომელნიც თავს დაეცნენ და მისი მოკვლა განიზრახეს.

კალე. სხვა-და-სხვა პირთა შეკითხვის საპასუხოდ ლუბემ სთქვა: ლონდონში მოგზაურობამ შემთხვევა მომცა დავრწმუნებულვიყავი, რომ საფრანგეთს საზღვარ-გარედ უფრო ნდობით უცქერიან, ვიდრე თვით საფრანგეთშიო. ლუბე პატრიოტულს სიხარულსა ჰგრძნობს და ამბობს, რომ ინგლისში ღმად დამარწმუნეს, — საფრანგეთს თავისთავად შეუძლიან იქონიოს ნდობა და მუდამ პროგრესსის გზაზედ იქმნება დამდგარი ცივილიზაციის მისაღწევადაო. მას იმედი აქვს, რომ მშვიდობიანობა უფრო და უფრო შეაერთებს ორივე ერს და ომიანობასა და ძალადობას შესცვლის იგი საფრანგეთისა და მთელის კაცობრიობის სასიხარულოდ.

პეტერბურგის ბირჟა, 24 ივნისს

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	93,85
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,50
ბერლინში ,,	46,30
პარიჟში ,,	37,60
პარიჟის დისკონტი	5—6 1/2 %
4% სახელმწიფო რენტა	98 [illegible]/2 მყიდ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	100 3/4 მყიდ.
4% გირავნ. ფურც სახელ. საადგ. მამულო ბანკის	95 1/8 მყიდ
5% ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	437 [illegible]/2 გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	338 გაყ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	289 წვ. გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4 1/2% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	92 [illegible]/4 გაყ.
4 1/2% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	—
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	—
აქციები ,, ,, ,,	—
,, კასპიის ამხანაგობისა.	—
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად.	184 [illegible]/2 წვ. გაყ.

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

18 აპრილიდგან.

(ნაჩვენებია ტფილისის საათით.)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს: — 1) სწრაფი მატარებელი № 1 დილის 10 ს. 37 წ. 2) საფოსტო № 3 საღამოს 6 ს. 18 წ. 3) სამგზავრო № 5 დილის 7 ს. 49 წ.

ბაქოს; 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე) ნაშუადღევის 4 ს. 24 წ.; 2) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 49 წ.; 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 32 წ.

ყარსსა და ერევანს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 12 ს. 30 წ.; 2) სამგზავრო № 90/91 შუადღის 12 ს. 38 წ.

ბორჯომს: 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 58 წ.; 2) სამგზავრო № 9/10 დილის 6 ს. 21 წ.

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 ღამის 11 ს. 22 წ.; 2) საფოსტო № 4 საღამოს 10 21 წ. 3) სამგზავრო № 6 დილის 10 ს. 37 წ.

გ) ბაქოდგან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე, პარასკეობით, მოსკოვიდან მომავალი) ღამის 4 ს. 40 წ. 2) საფოსტო № 3 საღამოს 10 ს. 16 წ.; 3) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 01 წ.

დ) ქუთაისიდგან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: ღამის 1 ს. 58 წ.; დღის 2 ს. 23 წ.

ბათუმისაკენ: ღამის 1 ს. 58 წ.; დღის 2 ს. 2ε წ.; დღის 4 ს. 48 წ.

შორაპნისაკენ: დღის 3 ს. 8 წ.

განცხადება

ტფილისის ქალაქის
გამგეობა

იწვევს იმათ, ვინც იკისრებს რიყის ქვის, დამტვრეულ ქვისა, ხრეშისა და ქვიშის მოტანასა და შეგროვებს **ქალაქის ქუჩების მოსაკირწლავად**, ამათ 10 ივლისამდე, შუადღის 12 საათამდე, უნდა წარადგინონ დაბეჭდილი კონვერტებით თავიანთი განცხადებანი იმ პირობათა შესახებ, რა პირობებითაც იკისრებენ დასახელებულ მასალის შეგროვებას დიდუბესა, ავლაბარსა, ნავთლუხსა, ვერასა და სეიდაბათში.

ამ საქმეს მოიჯარადარე უნდა შეუდგეს ამა წლის აგვისტოს.

საზოგადო სატეხნიკო პირობებისა და სხვა ცნობების მიღება შეიძლება გამგეობის საამშენებლო განყოფილებაში, ყოველ დღე, დილის 10-დან ნაშუადღევის 1 საათამდე.

განცხადება მიიღება მხოლოდ წერილობით, დაბეჭდილ კონვერტებით ამ გვარის ზედწარწერით: „Къ конкуренцію на поставки матеріаловъ для новаго мощенія города Тифлиса“.

განცხადებაში ყველა ჩამოთვლილ რაიონისათვის ცალკე უნდა იყოს აღნიშნული, როგორც ფასი (კუბ. საჟენისა) დაკვეთილ საქმისა, ისე რაოდენობა და ვადა.

განცხადების წარდგენა შეიძლება, როგორც მთელ სამუშაოზე, ისე ცალკე რაიონებზე. აგრეთვე შეიძლება განცხადების წარდგენა თვითოეულ საქმეზე ცალკე, მაგალითად, ქვიშის შეგროვებაზე ცალკე, ხრეშისაზე — ცალკე, დამტვრეულ ქვისაზე ცალკე და სხვა, ანა და ერთსა და იმავე კაცს შეუძლიან იკისროს ყველა ეს საქმე. ამ შემთხვევაში ფასი, ვადა და სხვა პირობა ყველა ჩამოთვლილ მასალაზე ცალკე უნდა იყოს აღნიშნული.

მოიჯარადრენი, რომელთაც საქმე მიენდობა, ვალდებულნი არიან 7 დღის განმავლობაში შეიტანონ ბე, ამიტომ განცხადებაში აღნიშნული უნდა იყოს რაოდენობა იმ ბეისა, რომელიც უნდა წარდგენილ იქმნას სამუშაოს კარგად შესრულების უზრუნველსაყოფელად, (3—6.—1)

ქუთაისში
ს. მ. ბ. თოფურიას
სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის** მფარველობის ქვეშ, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 27 іюня 1903 г. Типографія „Гутенбергъ“ (кн. Гр. Н. Діасамидзе). д. Груз Дворянства. რედაქტორ-გამომცემელი ა. ი. ხარაჯიშვილი.